დამტკიცებულია;
სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის მოვალეობის
შემსრულებლის 2025 წლის 03 თებერვლის №01-02/14 ბრძანებით

სსიპ კოლეჯი ,,ბლექსი

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

ბათუმი
2025

შინაარსი

თავი **I.** დოკუმენტის მიზანი, რეგულირების სფერო და შემუშავების საფუძვლები 4

მუხლი **1.** რეგულირების სფერო და მიზანი 4

მუხლი **2.** ტერმინთა განმარტება 4

თავი **II.** პროფესიული სტუდენტის/მსმენელის უფლებები, მხარდამჭერი ღონისძიებები და მოვალეობები 7

მუხლი **3.** პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტა 7

მუხლი **4.** პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება 8

მუხლი **5.** პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა 9

მუხლი **6.** პროფესიული სტუდენტის მობილობა 10

მუხლი **7.** ფორმალური განათლების ფარგლებში მიღებული განათლების აღიარება 12

მუხლი **8.** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები 15

მუხლი **9.** პროფესიული სტუდენტის, მსმენელის უფლებები 15

მუხლი **10.** პროფესიულ სტუდენტთა, მსმენელთა მოვალეობები 17

მუხლი **11.** სასწავლო გარემოსთან პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციისა და მხარდაჭერის ღონისძიებები 18

მუხლი **12.** დისციპლინური დევნა 19

მუხლი **13.** დამატებითი/არაფორმალური აქტივობების, სტუდენტის ინიციატივების მხარდაჭერა და წახალისება 20

თავი **III.** სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა 21

მუხლი 14. პროგრამების დამტკიცების უფლებამოსილება 21

მუხლი 15. პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობა 21

მუხლი **16.** სასწავლო პროცესის დაგეგმვის ძირითადი ეტაპები 21

მუხლი **17.** სასწავლო პროცესის ორგანიზება 22

მუხლი **18.** სასწავლო პროცესის წარმართვა ჰიბრიდულ ან დისტანციურ რეჟიმში 24

მუხლი **19.** კალენდარული გეგმისა და მატრიცის შემუშავება 24

მუხლი **20.** სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები 24

მუხლი **21 .** ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავება 25

მუხლი **22.** დუალური პროგრამის განხორციელების თავისებურებები 27

მუხლი **23.** კოოპერაციული პროგრამის განხორციელების თავისებურებები 29

თავი **IV.** პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა 32

მუხლი **24.** პროფესიული სტუდენტის შეფასების სახეები 32

მუხლი **25.** პროფესიული სტუდენტის განმსაზღვრელი შეფასების პროცესი 32

მუხლი **26.** პროფესიული სტუდენტის განმსაზღვრელი შეფასების გასაჩივრების (აპელაცია) 34

მუხლი **27.** პროფესიული სტუდენტის განმსაზღვრელი შეფასების შესახებ დოკუმენტაციის წარმოება 34

მუხლი **28.** შეფასების უწყისების წარმოება 35

მუხლი **29.** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასებისა და ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი 36

მუხლი **30.** შუალედური შეფასება 36

მუხლი **31.** კვალიფიკაციის მინიჭება 36

მუხლი **32.** კურსდამთავრებულის სტატუსი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა 36

თავი I. დოკუმენტის მიზანი, რეგულირების სფერო და შემუშავების საფუძვლები

მუხლი 1. რეგულირების სფერო და მიზანი

1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (შემდეგში „წესი“) განსაზღვრავს, ფორმალური განათლების ფარგლებში, სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ (შემდეგში - კოლეჯის) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადების პროგრამებზე სასწავლო პროცესის ადმინისტრირების, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა უფლებების დაცვისა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ (მათ შორის, პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების, მობილობის წესით პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის, მსმენელის სტატუსის შეწყვეტის) წესებს.
2. წინამდებარე წესით დარეგულირებულია არაფორმალური განათლების ფარგლებში პროგრამების / ტრენინგ - კურსების განხორციელების საკითხები.
3. პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვასა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხი, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე დოკუმენტით, რეგულირდება პროფესიული განათლების სფეროში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებებით და კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების მიხედვით.
4. ამ წესის მიზანია ხარისხიანი პროფესიული განათლების უზრუნველყოფა.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესის მიზნებისთვის წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა**:**

ა) არაფორმალური განათლება - მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სისტემის ნაწილი, რომელიც გულისხმობს ფორმალური განათლების მიღმა „ცოდნისა და გაცნობიერების“, „უნარის“ ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ შეძენას;
ბ) დიპლომი – უფლებამოსილი დაწესებულების მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
გ) დიპლომის დანართი/სერტიფიკატის დანართი – დოკუმენტი, რომელსაც დიპლომთან/სერტიფიკატთან ერთად გასცემს საგანმანათლებლო დაწესებულება პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული განათლების შინაარსის დასადასტურებლად;
ე) დუალური სწავლება - კოლეჯისა და სასწავლო საწარმოს მიერ ერთობლივად განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, როდესაც პროგრამის დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების 50%-ზე მეტის შესაბამისი სწავლის შედეგები მიიღწევა სასწავლო საწარმოში და რომლის ფარგლებშიც სავალდებულოდ გათვალისწინებულია სასწავლო საწარმოსა და პროფესიულ სტუდენტს შორის შრომითი ურთიერთობა;
ვ) თანაგანმახორციელებელი საწარმო - პირი, რომელიც კოლეჯთან დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, კოლეჯთან ერთად ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, კოოპერაციული სწავლების ფარგლებში;
ზ) იმიტირებული სასწავლო გარემო - კოლეჯის მიერ მოწყობილი სასწავლო სივრცე, სადაც შექმნილია სამუშაო სივრცის იმიტაცია;
თ) ინტეგრირებული პროგრამა - პროგრამის განხორციელების მიდგომა - პროგრამა რომლის სასწავლო გეგმაში ინტეგრირებულია ეროვნული სასწავლი გეგმის საშუალო საფეხურით განსაზღვრული სწავლის შედეგები;
ი) ინკლუზიური პროფესიული განათლება – თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი, რომლის ფარგლებშიც ყველა პროფესიული სტუდენტისა და მსმენელისათვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება;

კ) ინდივიდუალური სასწავლო გეგმა – შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის) საჭიროებისთვის მორგებული სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას/პროფესიული მომზადების პროგრამას/პროფესიული გადამზადების პროგრამას/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს;

ლ) კოოპერაციული სწავლება - კოლეჯისა და პარტნიორი ორგანიზაციის მიერ პროგრამის ერთობლივად განხორციელების ფორმა, რომლის ფარგლებში დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების არაუმეტეს 50%-ის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევა ხდება რეალურ სამუშაო გარემოში (გარდა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული საგამონაკლისო შემთხვევებისა);

მ) კომპეტენცია – სწავლის შედეგების შესაბამის კონტექსტში (სწავლის ან საქმიანობის პროცესში, პიროვნული და პროფესიული განვითარებისათვის) ადეკვატურად გამოყენების შესაძლებლობა;

ნ) კრედიტი – ერთეული, რომელიც მოიცავს დადასტურებული სწავლის შედეგების ერთობლიობას, რომელიც შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იქნეს აღიარებული ერთი ან რამდენიმე კვალიფიკაციის მისაღებად;

ო) მოდული – პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ფარგლებში არსებული ან დამოუკიდებლად შემუშავებული კომპონენტი, რომელიც აერთიანებს ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებულ სწავლის შედეგებს, აღწერს მათი მიღწევის გზებს, საშუალებებსა და დადასტურების პირობებს;

პ) მსმენელი - პროფესიული მომზადების პროგრამაზე ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ან/და ტრენინგ- კურსზე ან/და ტრენინგ- მოდულზე ან/და ცალკეულ მოდულზე ჩარიცხული პირი;

ჟ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – სასწავლო მიზნების, სწავლის შედეგების, მოდულის/მოდულების, შესაბამისი კრედიტების, სწავლების მეთოდების, შეფასების ფორმებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სრულდება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3/მე-4/მე-5 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებითა და დიპლომის გაცემით;

რ) პროფესიული სტუდენტი – პირი, რომელიც სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

ს) პროფესიული სტუდენტის მობილობა – პროფესიული სტუდენტის თავისუფალი გადაადგილება სწავლის პროცესში მონაწილეობის მისაღებად, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, რასაც თან სდევს სწავლის პერიოდში მიღებული განათლების, კრედიტების ან კვალიფიკაციის აღიარება;

ტ) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა - კოლეჯისა და პროფესიულ სტუდენტს შორის უფლება- მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის უფლების გარეშე.

უ) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება - კოლეჯისა და პროფესიულ სტუდენტს შორის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან დროებით გათავისუფლებას, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე;

ფ) პროფესიული მომზადების პროგრამა - პროგრამა, რომელიც პირს ამზადებს პროფესიასთან დაკავშირებული ცალკეული ამოცანებისა და მოვალეობების შესასრულებლად. პროფესიული მომზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2/მე-3/მე-4/მე-5 დონეს, რომელთან

შესაბამისობაც დგინდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიით.

ქ) პროფესიული გადამზადების პროგრამა - პროგრამა, რომლის მიზანია კომპეტენციების შეძენა ან/და განვითარება იმავე სფეროში პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად. პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2/მე-3/მე-4/მე-5 დონეს, რომელთან შესაბამისობაც დგინდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიით.

ღ) პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – დიპლომი, სერტიფიკატი სერტიფიკატი - უფლებამოსილი დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პირის მიერ პროფესიული მომზადების პროგრამით ან პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგის, აგრეთვე ცალკეული მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევას.

ყ) სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება – პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების ფორმა, რომელიც ითვალისწინებს ამ პროგრამით გათვალისწინებული ზოგიერთი სწავლის შედეგის იმიტირებულ სამუშაო გარემოში ან/და რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევას (მათ შორის, დუალური სწავლებით);

შ) სასწავლო საწარმო – პირი, რომელმაც მოიპოვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების უფლება, დუალური სწავლების ფარგლებში;

ჩ) სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამა/სახელმწიფო ენაში მომზადების მოდული – საგანმანათლებლო პროგრამა/მოდული, რომლის მიზანია სახელმწიფო ენის სწავლება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის დაძლევის მიზნებისთვის ან/და იმ პირთა სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის, რომელთათვისაც ქართული ენა მშობლიური არ არის;

ც) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი – პირი, რომელსაც გამოხატული აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები ან/და შეზღუდული შესაძლებლობა და რომელიც საჭიროებს სასწავლო პროცესის ადაპტაციას, რაც გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/ პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის მოდიფიკაციას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას, სასწავლო გარემოსა და პირობების შეცვლას ან/და დამატებით სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას;

ძ) სწავლის შედეგი – განაცხადი პირის მიერ მისაღწევი „ცოდნისა და გაცნობიერების“ (სწავლის ან საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის, ფაქტების, პრინციპების, თეორიების, თეორიული და პრაქტიკული მეთოდების ასიმილაციის შედეგი), „უნარის“ (კონკრეტული დავალების შესრულებისა და პრობლემების გადაჭრისათვის შესაბამისი ცოდნის გამოყენების შესაძლებლობა) ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ (ღირებულებებითა და დამოუკიდებლობის შესაბამისი ხარისხით პირის მიერ ცოდნისა და უნარების გამოყენება) შესახებ;

ჯ) ფორმალური განათლება – მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სისტემის ნაწილი, რომელიც გულისხმობს „ცოდნისა და გაცნობიერების“, „უნარის“ ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ შეძენას და აღნიშნულის სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატით, უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით – დიპლომით ან ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით დადასტურებას;

2. ტერმინებს, რომლებიც ამ წესით არ არის განმარტებული აქვთ მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მნიშვნელობა.

თავი II. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის უფლებები, მხარდამჭერი ღონისძიებები და მოვალეობები

მუხლი 3. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტა

1. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტა დასაშვებია წინამდებარე წესისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) სასწავლო ხელშეკრულებით და კოლეჯის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა;

ბ) კოლეჯისთვის ისეთი ყალბი დოკუმენტის ან არასწორი ინფორმაციის წარდგენა ან ისეთი ინფორმაციის წარუდგენლობა, რაც გავლენას იქონიებდა პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღებაზე;

გ) სწავლის დაწყებიდან ორი სასწავლო კვირის განმავლობაში, სასწავლო პროცესზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა;

დ) მოდულით გათვალისწინებული საკონტაქტო საათების 50%-ზე მეტის, არასაპატიო მიზეზით გაცდენა.

ე) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების ვადის გასვლა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა;

ვ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით/პროგრამით გათვალისწინებული მინიმუმ ერთი სწავლის შედეგის ვერ დადასტურება (აღნიშნული არ ეხება შშმ/სსსმ სტატუსის მქონე პროფესიულ სტუდენტს);

ზ) შუალედურ შეფასებაში /განმეორებით შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის არ მიღება, დადგენილი წესის შესაბამისად, თუ პროფესიული სტუდენტი არ ითხოვს სტატუსის შეჩერებას (აღნიშნული არ ეხება შშმ/სსსმ სტატუსის მქონე პროფესიულ სტუდენტს, რომლის სასწავლო პროცესი დაგეგმილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე);

თ) ინტეგრირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - ინტეგრირებული ზოგადი მოდულის თემისთვის განსაზღვრული საკონტაქტო საათების დასრულების შემდგომ, დადგენილი წესის შესაბამისად ამ თემით განსაზღვრული კომპლექსური დავალებ(ებ)ის შეუსრულებლობა;

ი) სწავლის საფასურის გადაუხდელობა, თუ პროფესიული სტუდენტი არ ითხოვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებას;

კ) კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი, თუ სასჯელის სახით დანიშნულია თავისუფლების აღკვეთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით;

ლ) გარდაცვალება;

მ) პირადი/კანონიერი წარმომადგენლის (საჭიროების შემთხვევაში) განცხადება;

ნ) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის - პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გამოყენება;

ო) მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „კ“, „ლ“, „მ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევები, ასევე, არის მსმენელის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის გარდა პირს შეუწყდება მსმენელის სტატუსი:

ა) სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო

ბ) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის - მსმენელის სტატუსის შეწყვეტის გამოყენებისას;

გ) პროგრამით გათვალისწინებული მინიმუმ ერთი სწავლის შედეგის ვერ დადასტურების შემთხვევაში.

5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლის არსებობისას დირექტორს სამსახურებრივი ბარათით მიმართავს დირექტორის მოადგილე ან სასწავლო პროცესის მენეჯერი (ქედისა და შუახევის მისამართებზე - ასევე, სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი) და წარუდგენს შესაბამის ინფორმაციას, საჭიროების შემთხვევაში შესაბამის მტკიცებულებას.

6. მსმენელის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლის არსებობისას დირექტორს სამსახურებრივი ბარათით მიმართავს ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი (ქედისა და შუახევის მისამართებზე - ასევე, სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი) და წარუდგენს შესაბამის წარუდგენს ინფორმაციას, საჭიროების შემთხვევაში შესაბამის მტკიცებულებას.

7. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტის შესახებ, კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტს.

8. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე რეესტრის წარმოების სპეციალისტს ინფორმაცია ბრძანების გამოცემის დღეს შეაქვს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

9. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტა იწვევს პროფესიულ სტუდენტთან/მსმენელთან დადებული ხელშეკრულების მოშლას, რაც არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების მოშლამდე წარმოშობილი და შეუსრულებელი ურთიერთვალდებულებების შესრულებისგან.

10. პირი, რომელსაც შეუწყდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, უფლებამოსილია კოლეჯიდან გამოითხოვოს მის პირად საქმეში დაცული დოკუმენტების ორიგინალები ან ასლები. კოლეჯი უზრუნველყოფს მოთხოვნილი დოკუმენტების გონივრულ ვადაში გაცემას.

11. პირი, რომელსაც შეუწყდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, უფლებამოსილია კოლეჯიდან გამოითხოვოს იმ მოდულების სერტიფიკატები (დანართით), რომელი მოდულების კრედიტებიც მან სრულად აითვისა პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტამდე. კოლეჯი უზრუნველყოფს მოთხოვნილი დოკუმენტების გონივრულ ვადაში გაცემას, დადგენილი წესის შესაბამისად.

12. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტა შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია იმ დროისათვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება დასაშვებია წინამდებარე ბრძანებით დადგენილი წესისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერება შესაძლებელია არაუმეტეს 5 წლის ვადით.

3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) პროფესიული სტუდენტის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება, ამ აღკვეთის ღონისძიების გაუქმებამდე;

ბ) ფინანსური დავალიანება;

გ) პირადი განცხადება, მიზეზის მითითებით. მიზეზის შინაარსი არ შეიძლება გახდეს პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერებაზე უარის თქმის საფუძველი;

დ) შუალედურ შეფასებაზე ან საკვალიფიკაციო გამოცდაზე არასაპატიოდ გამოუცხადებლობის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება;

ე) სამხედრო სამსახურში ან რეზერვში ჩარიცხვა, რაც გამორიცხავს პარალელურ რეჟიმში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას;

ვ) ხანგრძლივი ავადმყოფობა;

ზ) სხვა გარემოება, რომლის არსებობის შემთხვევაში მიზანშეწონილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება;

თ) მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

4. არასრულწლოვანი ან/და ქმედუუნარო/შეზღუდულ ქმედუნარიანი სსსმ პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნას კანონიერი წარმომადგენლის/ მხარდამჭერის მიერ.

5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებით, დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ - სამართლებრივი აქტს და მონაცემები შეიტანება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში, ბრძანების გამოცემის დღეს.

6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრისა და სტატუსის აღდგენის მოთხოვნის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი სწავლას აგრძელებს პროგრამის იმ პერიოდიდან როდესაც მას შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი (თუ ობიექტური გარემოებით სხვა საჭიროება არ იკვეთება).

7. პროფესიული სტატუსის შეჩერებისას კოლეჯი ვალდებულია მიაწოდოს პირს/კანონიერ წარმომადგენელს ინფორმაცია სტატუსის შეჩერების ვადის, სტატუსის აღდგენის პროცედურის და აღდგენის მიზნით განცხადების დაწერის ოპტიმალური პერიოდის (სასწავლო გეგმის პერიოდის გათვალისწინებით) თაობაზე.

8. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების დროს, კოლეჯი და პროფესიული სტუდენტი თავისუფლდებიან ურთიერთსანაცვლო უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან, გარდა იმ უფლებებისა და მოვალეობებისა, რომლებიც წარმოიშვა სტატუსის შეჩერებამდე.

9. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, გადახდილი სწავლის საფასური (ასეთის არსებობის შემთხვევაში), პროფესიულ სტუდენტს უკან არ უბრუნდება.

10. დაუშვებელია გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საქართველოდან წასული პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსისა შეჩერება.

მუხლი 5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის მიზნით, დირექტორის სახელზე წერილობითი განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტის, ხოლო არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის /ქმედუუნარო / შეზღუდულ ქმედუნარიანი სსსმ პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ.

2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის თაობაზე განცხადებას განიხილავს დირექტორის მოადგილე სასწავლო პროცესის მენეჯერთან (ქედისა და შუახევის მისამართებზე ასევე - სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი), პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად და შეჯერებულ წინადადებას წარუდგენს დირექტორს.

3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის თაობაზე გამოიცემა დირექტორის ბრძანება და შესაბამისი მონაცემები აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ბრძანების გამოცემის დღეს.

4. თუ პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან სტატუსის აღდგენამდე პერიოდში შეცვლილია პროგრამა/სასწავლო გეგმა, დირექტორის მოადგილის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე იქმნება სპეციალური კომისია, რომელიც განიხილავს სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის ისგ-ს შემუშავების საჭიროებას. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ისგ შემუშავდება წინამდებარე წესის მე - 19 მუხლის შესაბამისად.

5. თუ პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის მომენტისათვის კოლეჯი აღარ ახორციელებს იმ პროგრამას, რომელზეც პროფესიულ სტუდენტს შეუჩერდა სტატუსი, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია პროფესიული სტუდენტის მობილობით გათვალისწინებული პირობების დაცვით, სხვა პროგრამაზე მობილობის განხორციელების გზით, მობილობის წესის შესაბამისად.

6. თუ პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი სწავლას აგრძელებს სხვა პროგრამაზე, ფორმალური განათლების აღიარების

ფარგლებში, ხორციელდება დადასტურებული სწავლის შედეგების შესაბამისი კრედიტების აღიარება და პროფესიული სტუდენტი სწავლას აგრძელებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით (კომისიის გადაწყვეტილების შემთხვევაში).

7. სტატუსაღდგენილ პროფესიულ სტუდენტთან (არასრულწლოვანის /ქმედუუნარო /შეზღუდულ ქმედუნარიანი სსსმ პირის შემთხვევაში მის წარმომადგენელთან/მხარდამჭერთან) სტატუსის აღდგენის დღეს ფორმდება ახალი სასწავლო ხელშეკრულება.

8. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა იმ დაწესებულებაში, სადაც პირს შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, დასაშვებია კონკრეტულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება შესაბამის პროგრამაზე მომდევნო მიღებისათვის დაწესებულების მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.

9. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენას ექვემდებარება გარდამავალი/მომლოდინე სტატუსის მქონე პირი, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 6. პროფესიული სტუდენტის მობილობა

1. პროფესიული სტუდენტის მობილობის განხორციელება შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ პროფესიულ სტუდენტს სურს კოლეჯის სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება (შიდა მობილობა) ან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა (გარე მობილობა);

ბ) თუ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიულ სტუდენტს სურს გადმოსვლა კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2. მობილობის უფლებით სარგებლობა შეუძლია პირს, რომელსაც მობილობის მომენტისთვის აქვს აქტიური პროფესიული სტუდენტის სტატუსი ან შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

3. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ (დანართი №1) იმავე ან ქვედა დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

4. მობილობის უფლება პროფესიულ სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ პროგრამაზე, რომელზე დაშვების წინაპირობასაც ის აკმაყოფილებს.

5. მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი პროფესიული სტუდენტი (საჭიროების შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენელი) ვალდებულია წარმოადგინოს განცხადება მობილობის შესახებ, აგრეთვე წარადგინოს პროფესიული სტუდენტის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე რომელზეც სწავლობს პროფესიული სტუდენტი და რომელ პროგრამაზე სურს მობილობა.

6. მობილობის მსურველი პირის განცხადების განხილვის მიზნით, შესაძლებელია, დირექტორმა შექმნას კომისია. კომისიის მიერ განხილვის შედეგები ეცნობება დირექტორს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტის მობილობის ან მობილობაზე უარის თქმის შესახებ.

7. პროფესიული სტუდენტის გარე მობილობის მიზნებისთვის, კოლეჯი, საჭიროების შემთხვევაში, გამოითხოვს ინფორმაციას იმ დაწესებულებიდან სადაც სწავლობს პროფესიული სტუდენტი.

8. კოლეჯი უფლებამოსილია სისტემიდან დამატებით მოიპოვოს ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის სტატუსის, არსებობის შემთხვევაში სტატუსის შეჩერების საფუძვლების და მის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შესახებ.

9. ერთი და იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს ნებისმიერ დროს, მაგრამ არაუგვიანეს შესაბამისი პროგრამით განსაზღვრული სწავლის დასრულებამდე ორი თვით ადრე.

10. სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში მობილობა შესაძლებელია ისეთ პერიოდში, რომელიც ხელს არ შეუშლის სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. გადაწყვეტილებას აღნიშნულის თაობაზე იღებს დირექტორის მიერ შესაბამისი ინდივიდუალურ- სამართლებრივი აქტით შექმნილი კომისია.

11. კოლეჯი უფლებამოსილია პროფესიულ სტუდენტს შესთავაზოს მობილობა თუ:

ა) გაუქმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

ბ) კოლეჯი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

12. კოლეჯში შიდა მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს ერთი და იმავე პროგრამის ფარგლებში თუ შეიცვალა პროგრამა და მოდიფიცირებულ პროგრამაზე მობილობა აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მდგომარეობას. დასაბუთებულ გადაწყვეტილებას აღნიშნულთან დაკავშირებით იღებს კოლეჯი, კანონმდებლობის შესაბამისად, პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვისა და პროფესიული სტუდენტების თანხმობის შემთხვევაში.

13. შიდა და გარე მობილობის ფარგლებში კრედიტების აღიარებას ახორციელებს კოლეჯის დირექტორის შესაბამისი ბრძანებით შექმნილი კომისია, წინამდებარე წესის მე-7 მუხლის შესაბამისად.

14. პროფესიულ სტუდენტთა მობილობის საკითხებზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს დირექტორი, საქართველოს კანონის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში.

15. პროფესიული სტუდენტის მობილობით გადაყვანა/გადმოყვანა ფორმდება დირექტორის ბრძანებით და მონაცემები რეესტრის წარმოების სპეციალისტის მიერ შეიტანება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში, ბრძანების გამოცემის დღეს.

16. კოლეჯში პროფესიული სტუდენტის გარე მობილობის შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანება იმავე დღეს ეგზავნება იმ დაწესებულებას საიდანაც გადმოდის პროფესიული სტუდენტი, რათა აღნიშნულმა დაწესებულებამაც განახორციელოს შესაბამისი ქმედებები.

17. პროფესიული სტუდენტის გარე მობილობის დროს კოლეჯის სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირები და რეესტრის წარმოების სპეციალისტი ვალდებული არიან, პროფესიული სტუდენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, კოორდინირებულად თანამშრომლობდნენ მეორე სასწავლებელთან, რათა ხელი არ შეეშალოს პროფესიული სტუდენტის ნების გამოხატვას.

18. დაწესებულება უფლებამოსილია უარი განაცხადოს პირის კოლეჯში მობილობით ჩარიცხვაზე, თუ:

ა) არ აქვს ვაკანტური ადგილები პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში;

ბ) კოლეჯი ვერ უზრუნველყოფს მობილობის მსურველი პირის შემდგომ განათლებას კოლეჯის პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით;

გ) მობილობის მსურველი ვერ აკმაყოფილებს დაწესებულების მიერ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დადგენილ წინაპირობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

19. პროფესიული სტუდენტის მობილობა ხორციელდება შესაბამისი პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში, გარდა ამ მუხლის 21-ე პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, როდესაც დასაშვებია ზღვრული რაოდენობის გადაჭარბება არაუმეტეს 25 %-ით. ამ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება შესაბამის პროგრამაზე მომდევნო მიღებისათვის დაწესებულების მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.

20. პროფესიული სტუდენტები, რომელთა დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე ან დაწესებულებამ დაკარგა პროგრამის განხორციელების უფლება ან საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი ან გაუვიდა ავტორიზაციის ვადა ამ წესის მიზნებისათვის მიიჩნევიან პროფესიული სტუდენტის სტატუსშეჩერებულ პირებად და მათზე ვრცელდება ამ წესით დადგენილი პირობები.

21. დაწესებულებისათვის ავტორიზაციაზე უარის თქმის ან ავტორიზაციის გაუქმების, ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების დაკარგვის შემთხვევაში ამ დაწესებულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები, მათ შორის ისინი, ვისაც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე უკვე შეჩერებული ჰქონდათ პროფესიული სტუდენტის სტატუსი, უფლებამოსილნი არიან ისარგებლონ მობილობის უფლებით ავტორიზაციის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 5 წლის განმავლობაში.

22. დაწესებულების ავტორიზაციის ვადის გასვლით დაწესებულების მიერ პროგრამის განხორციელების უფლების დაკარგვის, ასევე დაწესებულების უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე ლიკვიდაციის შემთხვევაში ამ დაწესებულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები, მათ შორის, ისინი, ვისაც ავტორიზაციის ვადის გასვლამდე ან დაწესებულების უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე ლიკვიდაციამდე უკვე შეჩერებული ჰქონდათ პროფესიული სტუდენტის სტატუსი, უფლებამოსილნი არიან ისარგებლონ მობილობის უფლებით ავტორიზაციის ვადის გასვლიდან/ლიკვიდაციიდან 5 წლის განმავლობაში.

მუხლი 7. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღებული განათლების აღიარება

1. ფორმალური განათლების აღიარებას ახდენს კოლეჯი ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნების საფუძველზე;

2. ფორმალური განათლების აღიარება დასაშვებია, თუ:

ა) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული და მიღწეული სწავლის შედეგები ერთნაირადაა ფორმულირებული ან ფორმულირებაში არსებობს მცირედი განსხვავება, რომელიც გამოწვეულია ენობრივი თავისებურებით ან/და სწავლის შედეგების განსხვავებული სტრუქტურირებით და ხელს არ უშლის მათ იდენტურად მიჩნევას. ამასთან, სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით ერთმანეთთან თავსებადია;

ბ) მიღწეული სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით აღემატება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

3. ფორმალური განათლების აღიარების მსურველი უფლებამოსილია, მოითხოვოს ფორმალური განათლების აღიარება, მხოლოდ მის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ.

4. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ვადა შეადგენს მაქსიმუმ 1 თვეს განცხადების წარმოებაში მიღებიდან;

5. ფორმალური განათლების აღიარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) კოლეჯისთვის განცხადების წარდგენა;

ბ) კომისიის მიერ განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის განხილვა/ შეფასება;

გ) კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება;

დ) კოლეჯის დირექტორის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

6. კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს ფორმალური განათლების აღიარების პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომობა.

7. პროფესიული სტუდენტის მიერ, ფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებით, კოლეჯისადმი წერილობითი ფორმით წარდგენილი განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) დაწესებულების დასახელებას;

ბ) პროფესიული სტუდენტის სახელსა და გვარს, ფაქტობრივ და იურიდიულ მისამართს;

გ) პროფესიული სტუდენტის ელექტრონული ფოსტის მისამართს;

დ) პროფესიული სტუდენტის ტელეფონის ნომერს;

ე) განცხადების შევსების ადგილსა და თარიღს;

ვ) მოთხოვნას, კერძოდ, მითითებას იმ სწავლის შედეგზე/შედეგებზე, რომლის აღიარებასაც ითხოვს პროფესიული სტუდენტი;

ზ) პროფესიული სტუდენტის ხელმოწერას;

თ) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას უნდა ერთოდეს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) თუ აღიარების მსურველი წარმოდგენილია წარმომადგენლით, უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ფორმალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი და მისი დანართი (ასეთის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში)/უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი – დიპლომი და მისი დანართი/ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი ან მისი ნოტარიულად დამოწმებული ასლი, ან ცნობა, რომელიც ადასტურებს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეულ კონკრეტულ სწავლის შედეგებს, გარდა ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.;

დ) განცხადებას შესაძლებელია დაერთოს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დასადგენად დაწესებულების/პროფესიული მომზადების ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი იურიდიული პირის მიერ გაცემული ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ასაღიარებელი სწავლის შედეგის მიღწევის თაობაზე, გარდა ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

9. კოლეჯი არ არის უფლებამოსილი განმცხადებელს მოსთხოვოს ამ მუხლის ,,გ" და ,,დ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია იმ სწავლის შედეგების აღიარების ნაწილში, რომელიც მიღწეულ იქნა კოლეჯის მიერ განხორციელებული ფორმალური განათლების ფარგლებში.

10. კოლეჯი 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს განცხადების შესაბამისობას ამ მუხლის მოთხოვნებთან. თუ განმცხადებელი კოლეჯის არ წარუდგენს საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელიმე დოკუმენტს, კოლეჯი პროფესიულ სტუდენტს განუსაზღვრავს არანაკლებ 5 და არაუმეტეს 15 სამუშაო დღის ვადას, რომლის განმავლობაშიც პროფესიულმა სტუდენტმა უნდა წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

11. თუ კოლეჯის მიერ დადგენილ ვადაში პროფესიული სტუდენტი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს, კოლეჯი უფლებამოსილია გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტი განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ;

12. განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) იქმნება კომისია, რომელიც უზრუნველყოფს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებას.

13. კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 3 წევრისგან. კოლეჯი ვალდებულია კომისიის შემადგენლობაში უზრუნველყოს შესაბამისი პროგრამის განმახორციელებელი პირის მონაწილეობა. კოლეჯის უფლება აქვს პროფესიული სტუდენტი მოიწვიოს კომისიის განხილვაზე, თუ მისი მონაწილეობა აუცილებელია წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.

14. კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს თავისი შემადგენლობიდან ირჩევენ კომისიის წევრები. კომისია უფლებამოსილია განიხილოს საკითხი, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

15. კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრე წევრთა უმრავლესობა. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

16. კომისიის გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

17. კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს პროფესიულ სტუდენტთან არსებული ინტერესთა კონფლიქტისა და თვითაცილების შესახებ, შესაბამისი საფუძვლის მითითებით. ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი გარემოების არსებობა.

18. კომისია კენჭს უყრის თვითაცილების/აცილების შესახებ საკითხს. გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას არ იღებს კომისიის ის წევრი, რომელმაც დააყენა თვითაცილება/რომლის მიმართაც დაყენებულია აცილება. კომისიის წევრი თვითაცილებულად/აცილებულად ითვლება კომისიის მიერ შესაბამისის გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.

19. კომისია უზრუნველყოფს წარმოდგენილი განაცხადისა და დოკუმენტაციის შესწავლას იმის დასადგენად, არსებობს თუ არა ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული აღიარების საფუძვლები. კომისია არ არის უფლებამოსილი პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურების მიზნით განახორციელოს მისი შეფასება.

20. კომისია წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარების შესახებ;

ბ) ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.

21. პროფესიულ სტუდენტს აღიარების გზით კრედიტი ენიჭება მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგის აღიარების შემთხვევაში. სწავლის შედეგების აღიარების შემთხვევაში პირს ენიჭება იმ პროგრამით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა, რომლის მიზნებისთვისაც მოხდა სწავლის შედეგების აღიარება.

22. კომისიის გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული. მასში მითითებული უნდა იყოს ის სწავლის შედეგი/შედეგები, რომელთა აღიარებაც განხორციელდა ან რომელთა აღიარებაზეც პროფესიულ სტუდენტს ეთქვა უარი, შესაბამისი დასაბუთებით.

23. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე კოლეჯის დირექტორის მიერ გამოიცემა ინდივიდუალურ- ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) დაწესებულების დასახელება;

ბ) განმცხადებლის ვინაობა;

გ) იმ საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის სახელწოდება, რომლის სწავლის შედეგები უღიარდა/სწავლის შედეგები არ უღიარდა პროფესიულ სტუდენტს;

დ) აღიარებული კრედიტების რაოდენობა;

ე) გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ადგილი;

ვ) გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და ვადა.

24. კოლეჯი ვალდებულია, გადაწყვეტილება განმცხადებელს აცნობოს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტის გამოცემიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

25. სწავლის შედეგების აღიარების შემთხვევაში კრედიტების გადატანა (ტრანსფერი) ხორციელდება იმ პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობის შესაბამისად, რომლის მიზნებისთვისაც მოხდა სწავლის შედეგების აღიარება.

26. პროფესიული სტუდენტისთვის კრედიტების აღიარების შემთხვევაში, რეესტრის წარმოების სპეციალისტი ვალდებულია პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახოს შესაბამისი ინფორმაცია (პროფესიულ სტუდენტს ბაზაში არ უნდა მიეცეს შესაბამისი მოდული/მოდულის სწავლის შედეგები).

27. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესისა და სხვა ინფორმაციის გასავრცელებლად კოლეჯი იყენებს დაწესებულებაში განთავსებულ საინფორმაციო დაფებს, კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდს, სოციალურ ქსელსა და სხვა მეთოდებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

28. დაინტერესებულ პირ(ებ)ს დაწვრილებით ინფორმაციას აწვდიან შესაბამისი კომპეტენციის ან/და უფლებამოსილების მქონე პირ(ებ)ი.

29. ელექტრონული სისტემის შექმნამდე პროცესი წარიმართება მატერიალური სახით.

30. კოლეჯი შესაბამისი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნამდე უზრუნველყოფს ფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შენახვას და სისტემის შექმნის შემდეგ 2 თვის ვადაში კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მათ ასახვას.

მუხლი 8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტს უზრუნველყოფს შემდგომი განათლებით, რისთვისაც უზრუნველყოფს პროგრამის მილევად რეჟიმში განხორციელებას და შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტს დაასრულებინებს სწავლას და ანიჭებს ამ პროგრამით გათვალისწინებულ კვალიფიკაციას ან უქმნის შესაძლებლობას პროფესიულმა სტუდენტმა ისარგებლოს შიდა (ალტერნატიულ/შეცვლილ/სხვა პროგრამაზე გადასვლა) ან გარე (სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადაყვანის უზრუნველყოფა იმავე პროგრამაზე) მობილობით, კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაძლებლობების ფარგლებში.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, კანონმდებლობის შესაბამისად, გათვალისწინებულია წინამდებარე წესის მე-6 მუხლის მე - 21-ე და 22- ე პუნქტებით და პროფესიულ სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს მინიჭებული უფლებამოსილებით.

მუხლი 9. პროფესიული სტუდენტის, მსმენელის უფლებები

1. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს:

ა) მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება;

ბ) კოლეჯის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით, უფლებამოსილია შესაბამისი თანამდებობის პირებისაგან მიიღოს მხარდაჭერა მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით;

გ) ისარგებლოს ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური შეფასების სისტემით და საჭიროების შემთხვევაში, დადგენილი წესით გაასაჩივროს მიღებული შეფასება;

დ) ისარგებლოს კოლეჯის სივრცეებით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, , საბიბლიოთეკო, საინფორმაციო საშუალებებით, საგანმანათლებლო, სპორტული და სხვა დამხმარე რესურსებით, დადგენილი წესის შესაბამისად;

ე) უზრუნველყოფილი იყოს პრაქტიკული სასწავლო კომპონენტის გასავლელად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, სასწავლო მასალით, მათ შორის, პარტნიორი კომპანიის ბაზაზე (არსებობის შემთხვევაში);

ვ) ისარგებლოს ადმინისტრაციული, აკადემიური, კარიერული მხარდაჭერით და მხარდაჭერა უზრუნველყოფილი უნდა იყოს გონივრულ ვადებში;

ზ) უზრუნველყოფილი იყოს უსაფრთხო სასწავლო გარემოთი, როგორც კოლეჯის ბაზაზე, ასევე, პარტნიორი კომპანიების ბაზებზე (არსებობის შემთხვევაში);

თ) დადგენილი წესის შესაბამისად, ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული ფორმალური განათლების აღიარების,

კრედიტების ტრანსფერის (მათ შორის, არაფორმალური განათლების აღიარების ფარგლებში მიღებული კრედიტების), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის უფლებებით;

ი) კოლეჯის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, ისარგებლოს ისგ- ის ფარგლებში სწავლების უფლებით;

კ) ისარგებლოს კოლეჯის მიერ შეთავაზებული ექსტრაკურიკულური აქტივობებით ან/და თავად დააყენოს ინიცირება ექსტრაკურიკულური სერვისის/აქტივობის განხორციელების თაობაზე, წინამდებარე წესით დადგენილი წესის შესაბამისად.

ლ) მოითხოვოს პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა;

მ) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში დაასრულოს სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რომელზედაც სწავლობს ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით;

ნ) პროფესიულ სტუდენტი/მსმენელი რომელიც ვერ/არ გამოცხადდება სწავლის შედეგების დადასტურებისათვის განკუთვნილ შეფასების საათებზე ან ვერ მიიღებს დამაკმაყოფილებელ შეფასებას უფლებამოსილია მოითხოვოს გადაბარება, ერთხელ;

ო) საკუთარი ინტერესების შესაბამისად თავისუფლად დააფუძნოს პროფესიული და სხვა გაერთიანება ან/ და იყოს ამ გაერთიანების წევრი;

პ) გამოთქვას საკუთარი აზრი და მოითხოვოს მისი პატივისცემა;

ჟ) გამოთქვას პროტესტი და წერილობით გაასაჩივროს დირექტორთან კოლეჯში დასაქმებულის ან/და სხვა პროფესიული სტუდენტის/მსმენელის არამართლზომიერი ქმედება;

რ) დაცული იყოს არასათანადო მოპყრობის, გულგრილობისა და შეურაცხყოფისაგან;

ს) საპატიოდ ჩაეთვალოს მეცადინეობების გაცდენა შემდეგი გარემოებების არსებობის შემთხვევაში: ჯანმრთელობის მდგომარეობა, სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში პარალელურად სწავლის შემთხვევაში - საგამოცდო პერიოდი; ოჯახის წევრის გარდაცვალება ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოება;

ტ) მოითხოვოს პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით მოქმედი კანონმდებლობით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებების რეალიზება, მათ შორის უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, განმარტების გარეშე უარი განაცხადოს მის მიერვე მიცემულ თანხმობაზე და მოითხოვოს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა ან/და დამუშავებულ მონაცემთა განადგურება;

უ) დადგენილი წესით მიიღოს შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ფ) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობითა და კოლეჯის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა უფლებებით და თავისუფლებებით.

2. კოლეჯი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთათვის ქმნის აუცილებელ პირობებს მათი სრულფასოვანი განათლებისათვის, რაც შეიძლება გამოიხატოს მათთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის, სპეციალური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, შენობაში გადაადგილების ხელშეწყობაში თუ კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა პირობების შექმნაში;

3. მსმენელი სარგებლობს ყველა ზემოაღნიშნული უფლებით (არ ეხება პირველი პუნქტის ,,თ“და ,,მ“ ქვეპუნქტები);

4. კოლეჯში პროფესიული სტუდენტის/მსმენელის უფლებები და ვალდებულებები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, პროფესიულ სტუდენტთან/მსმენელთან გაფორმებული სასწავლო ხელშეკრულებით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ- სამართლებრივი აქტებით. დუალური და კოოპერაციულ პროგრამების შემთხვევაში, ასევე, პარტნიორ სასწავლო საწარმოსთან გაფორმებული ხელშეკრულებ (ებ)ით.

5. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-2 თავით განსაზღვრული უფლებები, მოვალეობები, შეზღუდვები და სხვა რეგულაციები უნდა იქნას გაცნობილი პროფესიული სტუდენტისთვის/მსმენელისთვის, რაც უნდა დადასტურდეს სხვადასხვა სახის მტკიცებულებით (სასწავლო ხელშეკრულება ან/და ვებ გვერდზე ინფორმაციის განთავსება ან/და სასწავლო წლის დასაწყისში პროფესიულ სტუდენტებთან შეხვედრის, მათთვის რეგულაციების გაცნობის მტკიცებულებები).

მუხლი 10. პროფესიულ სტუდენტთა, მსმენელთა მოვალეობები

1. პროფესიული სტუდენტი/მსმენელია ვალდებულია:

ა) დაიცვას საქართველოს კანონმდებლობის და კოლეჯის სამართლებრივი აქტების მოთხოვნები;

ბ) შეასრულოს კოლეჯთან დადებული სასწავლო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

გ) დაესწროს მეცადინეობებს, შეფასებებს, მათ შორის შუალედურ შეფასებასა და საკვალიფიკაციო გამოცდას;

დ) წარმოადგინოს დასაბუთებული განცხადება შუალედურ შეფასებაზე საპატიოდ გამოუცხადებლობის შემთხვევაში, შუალედური შეფასების წესისა და პროცედურის შესაბამისად;

ე) დაიცვას კოლეჯის ტერიტორიაზე ქცევის წესები და ეთიკის ნორმები კოლეჯის პერსონალთან, სხვა პროფესიულ სტუდენტებთან და სასწავლებლის ვიზიტორებთან ურთიერთობისას;

ვ) ობიექტური მიზეზების არსებობის შემთხვევაში მოახდინოს ადმინისტრაციის/პროგრამის ხელმძღვანელის ინფორმირება მეცადინეობების გაცდენის თაობაზე;

ზ) კოლეჯის შენობასა და ტერიტორიაზე დაიცვას სანიტარულ- ჰიგიენური ნორმები, დაიცვას სახანძრო უსაფრთხოებისა და ჰიგიენის წესები;

თ) გაუფრთხილდეს და დაიცვას კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები; მატერიალური ქონება გამოიყენოს კეთილსინდისიერად, აანაზღაუროს მის მიერ კოლეჯისთვის მიყენებული ქონებრივი ზიანი;

ი) მოახდინოს კოლეჯის ინფორმირება საკონტაქტო ინფორმაციის (ელექტრონული ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი, მისამართი და სხვა) ცვლილების შემთხვევაში;

კ) გაუფრთხილდეს კოლეჯის სასწავლო რესურსს. დროულად დააბრუნოს კოლეჯის ბიბლიოთეკიდან გატანილი სასწავლო რესურსი;

ლ) პატივი სცეს სხვა პროფესიული სტუდენტების/მსმენელების და კოლეჯის თანამშრომლების ღირსებას, არ დაუშვას მათზე რაიმე ფორმით ზეწოლა ან მათ მიმართ შეურაცხმყოფელი საქციელი;

მ) დაემორჩილოს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მოთხოვნებს და კოლეჯში დასაქმებული უფლებამოსილი პირის, ასევე, კოლეჯის უსაფრთხო კოორდინატორების შესაბამის მითითებებს, რომელიც არ არღვევს მათ უფლებებს;

ნ) რეგულარულად ადევნოს თვალი კოლეჯის მიერ მისთვის შექმნილ ელექტრონულ ფოსტას;

ო) დაიცვას პრაქტიკის ობიექტზე (არსებობის შემთხვევაში) შინაგანაწესი, უსაფრთხოების ნორმები და სხვა მოქმედი წესები.

2. პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს ეკრძალება:

ა) ალკოჰოლური სასმელების, თამბაქოს/ელექტრონული სიგარეტის და საქართველოს კანონმდებლობით უნებართვოდ აკრძალული ნივთიერების კოლეჯის ტერიტორიაზე შეტანა და რაიმე ფორმით გამოყენება;

ბ) ალკოჰოლური თრობისას ან რომელიმე ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ყოფნისას კოლეჯის ტერიტორიაზე გამოცხადება და გადაადგილება;

გ) კოლეჯის ინფორმაციულ სივრცეებში ყველა ტიპის კომპიუტერული თამაშები, არასანქცირებული ჩართვების განხორციელება, პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია, რომელიც არ არის შეთანხმებული მასწავლებელთან ან/და კოლეჯის ადმინისტრაციასთან;

დ) კოლეჯის ს ტერიტორიაზე ან მისი ინფრასტრუქტურის, მათ შორის ელექტრონული ფოსტისა ან/და კოლეჯის მონაცემთა ბაზის გამოყენებით პირდაპირი ან/და ირიბი სახის პოლიტიკური ხასიათის გამოსვლების მოწყობა, პოლიტიკური აგიტაცია ან/და პროპაგანდა;

ე) კოლეჯის ტერიტორიაზე ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღით შესვლა;~

ვ) კოლეჯში გამოცხადება გარეგნულად მოუწესრიგებელი სახით, საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შეუფერებელი ჩაცმულობით და ჰიგიენის ნორმების დაუცველად;

ზ) სასწავლო პროცესის სხვადასხვა აქტივობებზე/მეცადინეობებზე სისტემატური დაგვიანება, მათი ჯგუფური მიტოვება;

თ) კოლეჯის შენობაში გამოკრული საინფორმაციო მასალების დაზიანება;

ი) სასწავლო პროცესისადმი ხელის შეშლა, ხმაური, საუბარი;

კ) დოკუმენტების/მასალების უნებართვოდ აღება ან განადგურება, რაც გამოიწვევს ამ ქმედების შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას;

ლ) მეცადინეობაზე მობილური ტელეფონის ან სხვა საკომუნიკაციო საშუალების გამოყენება, რომელიც არ არის გათვალისწინებული სწავლების მეთოდებით;

მ) საქართველოს კანონმდებლობითა და სასწავლებლის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა მოთხოვნების შეუსრულებლობა/დაუცველობა.

2. თუ პროფესიული სტუდენტი/მსმენელი არღვევს წესრიგს და ამით ხელს უშლის ლექციის/აქტივობის მსვლელობას, პროფესიული განათლების მასწავლებელი/აქტივობის განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია აღნიშნული გადაცდომის შესახებ აცნობოს სასწავლო პროცესის მენეჯერი (ქედისა და შუახევის მისამართებზე ასევე - სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი)ს წარმომადგენლებს, რომლებიც განიხილავენ აღნიშნული გადაცდომის მიზეზებს და საჭიროების შემთხვევაში კოლეჯის ხელმძღვანელობის წინაშე დააყენებენ პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენების საკითხს.

მუხლი 11. სასწავლო გარემოსთან პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციისა და მხარდაჭერის ღონისძიებები

1. კოლეჯი იაზრებს სასწავლო პროცესში სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის, სოციალური ან ქცევითი თავისებურებების მქონე პირების არსებობის შესაძლებლობას და მოქმედებს ინდივიდუალური მიდგომების გამოყენებით.

2. კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციისა და მხარდაჭერის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებებია:

ა) პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო და საორიენტაციო, გაცნობითი შეხვედრების ორგანიზება, სასწავლო პროცესის დაწყებიდან ორი კვირის პერიოდში;

ბ) პროფესიულ სტუდენტებთან გაერთიანებული შეხვედრების ციკლი სწავლების მთელი პერიოდის განმავლობაში;

გ) კონსულტაციები პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან;

დ) კონსულტაციები ადმინისტრაციულ პერსონალთან;

ე) ჯგუფური ან ინდივიდუალური აქტივობების დაგეგმვა და განხორციელების მხარდაჭერა;

ვ) ადმინისტრაციული მხარდაჭერა, რაც გამორიცხავს ბიუროკრატიულ პროცედურებს (ადმინისტრაციული სერვისის მიღების ვადა მისი მოთხოვნის დაფიქსირებიდან არ აღემატება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ ვადას);

3. პროფესიულ სტუდენტებთან ინდივიდუალური ან/და ჯგუფური შეხვედრების ორგანიზება ხდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) შეიცვალა სასწავლო კალენდარი;

ბ) შეიცვალა პროგრამა;

გ) იცვლება სასწავლო გარემო (დუალური და კოოპერაციული პროგრამის შემთხვევაში);

დ) იგეგმება შუალედური შეფასება და საკვალიფიკაციო გამოცდა;

ე) არსებობს მოთხოვნა პროფესიულ სტუდენტთა მხრიდან ნებისმიერი საკითხის განხილვის თაობაზე;

ვ) არსებობს მოთხოვნა დასაქმებასთან/სტაჟირებასთან დაკავშირებით;

ზ) არსებობს სხვა გარემოება, როცა სავალდებულოა პროფესიულ სტუდენტებთან ინდივიდუალური ან/და ჯგუფურ შეხვედრების ორგანიზება.;

4. საჭიროების შემთხვევაში, არასრულწლოვან/ქმედუუნარო/შეზღუდულქმედუნარიან პროფესიულ სტუდენტთა მიმართებაში კოლეჯი უზრუნველყოფს ინდივიდუალურ შეხვედრებს სტუდენტთა კანონიერ წარმომადგენელთან/მხარდამჭერთან.

5. პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციისა და მხარდაჭერის ღონისძიებებს კოორდინაციას უწევს სტუდენტური სერვისების უზრუნველყოფის სპეციალისტი და უზრუნველყოფს შესაბამისი პასუხისმგებლობის პირთა ჩართულობას აქტივობებში, საკითხის შინაარსის გათვალისწინებით. დუალური პროგრამების შემთხვევაში - ასევე დუალური პროგრამების კოორდინატორი.

6. პროფესიულ სტუდენტებთან კომუნიკაციისთვის გამოიყენება: პირისპირ კომუნიკაცია, ელ-ფოსტა, სოციალური ქსელის შიდა ჯგუფები.

მუხლი 12. დისციპლინური დევნა

1. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიმართ დისციპლინური დევნა ხორციელდება მხოლოდ ამ წესით დადგენილი პირობების შესაბამისად.

2. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს ამ წესით, საქართველოს კანონმდებლობითა და სასწავლებლის სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა.

3. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიმართ დისციპლინური დევნის განხორციელება არ ზღუდავს მათ უფლებას მონაწილეობა მიიღონ სასწავლო პროცესში, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, სასწავლებლის საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას.

4. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის დისციპლინური დევნის საკითხს განიხილავს სპეციალური კომისია, რომელიც იქმნება დირექტორის ბრძანებით, რომლითაც განისაზღვრება სპეციალური კომისიის უფლება-მოვალეობები, უფლებამოსილების ვადა, საქმიანობის პირობები და სხვა საკითხები.

5. დისციპლინური წარმოებისას კოლეჯი განუმარტავს პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს მის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის არსს. არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენების, აგრეთვე დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება მის კანონიერ წარმომადგენელს.

6. პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს უფლება აქვს მასთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტისას დამოუკიდებლად (სრულწლოვანების შემთხვევაში) ან/და კანონიერ წარმომადგენელთან ერთად წარსდგეს.

7. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიმართ შესაძლოა გამოყენებული იქნას შემდეგი სახის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები:

ა) სიტყვიერი/ წერილობითი გაფრთხილება;

ბ) მატერიალური ზიანის ანაზღაურება/დაჯარიმება;

გ) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;
დ) მსმენელის სტატუსის შეწყვეტა.

8. პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს, რომელსაც დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა-წერილობითი გაფრთხილება ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება, დისციპლინური გადაცდომის განმეორებით ჩადენის შემთხვევაში, შეუწყდება სტატუსი.

9. დირექტორის ბრძანებით შექმნილი სპეციალური კომისია გონივრულ ვადაში შეისწავლის პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ განმეორებით ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომის შინაარსსა და ამ გადაცდომის შედეგად დამდგარ შედეგებს და მხოლოდ დასაბუთებული მსჯელობის საფუძველზე აძლევს რეკომენდაციას დირექტორს პროფესიული სტუდენტისთვის/მსმენელისთვის სტატუსის შეწყვეტაზე.

10. მე - 9 პუნქტის შესაბამისად, კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე კოლეჯის დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც ფორმდება დირექტორის ბრძანებით.

მუხლი 13. დამატებითი/არაფორმალური აქტივობების, სტუდენტის ინიციატივების მხარდაჭერა და წახალისება

1. დამატებითი/არაფორმალური აქტივობების (შემდგომში - ,,ექსტრაკურიკულური აქტივობები“) და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების (შემდგომში - ,,სტუდენტური ინიციატივები“) წარდგენა ინიციატორის მიერ ხორციელდება კოლეჯის დირექტორისთვის წერილობითი მიმართვით;

2. სტუდენტური ინიციატივების და ექსტრაკურიკულური აქტივობების ინიციატორი შესაძლებელია იყოს პროფესიული სტუდენტი/პროფესიული სტუდენტის წარმომადგენელი.

3. ექსტრაკურიკულური აქტივობების ინიციატორი ასევე შესაძლოა იყოს:
ა) კოლეჯის სხვა პერსონალი, მათ შორის პროგრამის განმახორციელებელი პირები;;
ბ) პარტნიორი კომპანიის წარმომადგენლები.

4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ინიციატორის განცხადება უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
ა) ინიციატორის/ინიციატორების სახელს, გვარს და სტატუსს/პოზიციას;
ბ) აქტივობის მიზანსა და შინაარსს;
გ) აქტივობის განხორციელების სავარაუდო ვადებს/პერიოდს;
დ) საჭიროების შემთხვევაში, სხვა ინფორმაციას ინიციატივის შესახებ.

5. ინიციატივას განიხილავს სამუშაო ჯგუფი, მისი წარდგენიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში.

6. კოლეჯი სტუდენტური ინიციატივების და ექსტრაკურიკულური აქტივობების მხარდაჭერას ძირითადად ახორციელებს შემდეგი მიზნით:
ა) პროფესიული ორიენტაცია და კარიერული განვითარება;
ბ) სტუდენტური ინტერესების რეალიზება და განვითარება;
გ) პიროვნული ღირებულებების და სოციალური პასუხისმგებლობების ამაღლება;
დ) პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთა პროფესიული განვითარება.
ე) პროფესიული განათლების პოპულარიზაცია;

6. სამუშაო ჯგუფი აფასებს ინიციატივას შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად:
ა) შეესაბამება კოლეჯის მიერ განსაზღვრულ ერთ ან რამდენიმე მიზანს/ამოცანას;
ბ) ინიციატივის განხორციელება ხელს არ უშლის სასწავლო პროცესს, საფრთხეს არ უქმნის ჩართული მხარეების უსაფრთხოებას და/ან კოლეჯის რეპუტაციას;
გ) შესაბამისობაშია კოლეჯის შესაძლებლობებთან.

7. სამუშაო ჯგუფი დირექტორს წარუდგენს გადაწყვეტილებას, რომელიც 3 სამუშაო დღის ფარგლებში ეცნობება ინიციატორს.

თავი III. სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა

მუხლი 14. პროგრამების დამტკიცების უფლებამოსილება

1. კოლეჯის მიერ განსახორციელებელ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს განიხილავს და ამტკიცებს დირექტორი, კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვის წესის შესაბამისად.
2. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებს ამტკიცებს დირექტორი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესის განსაზღვრის თაობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის №59/ნ ბრძანების შესაბამისად, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ელექტრონულ ფორმაზე კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შესრულებით.
3. არაფორმალური განათლების მიმართულებით მოკლევადიან პროგრამას, ტრენინგ-კურსს, ტრენინგ- მოდულს და ა.შ. ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი, დირექტორის მოადგილის წარდგინების საფუძველზე.

მუხლი 15. პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობა

1. პროფესიულ სტუდენტთა სწავლების ხანგრძლივობა განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით.
2. მსმენელთა სწავლების ხანგრძლივობა განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის/არაფორმალური განათლების ფარგლებში პროგრამის/ტრენინგ- კურსის/ტრენინგ-მოდულის ხანგრძლივობით.
3. სწავლის პერიოდი შესაძლებელია გახანგრძლივდეს, თუ:

ა) პროფესიულ სტუდენტს შეუჩერდა სტატუსი;
ბ) საჭირო გახდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლება;
გ) ადგილი აქვს სხვა ობიექტურ გარემოებას.

მუხლი 16. სასწავლო პროცესის დაგეგმვის ძირითადი ეტაპები

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის დაგეგმვის ეტაპებია:

ა) პროგრამების იდენტიციფირება, რომელზეც უნდა განხორციელდეს სასწავლო პროცესის დაგეგმვა;
ბ) სასწავლო ჯგუფების იდენტიციფირება, რომელზეც უნდა განხორციელდეს სასწავლო პროცესის დაგეგმვა;
გ) სწავლების შესაბამის ციკლში იმ მოდულების იდენტიფიცირება, რომელიც უნდა დაიგეგმოს შესაბამისი ჯგუფის სწავლებისათვის;
დ) მოდულების დაწყება/დასრულების განსაზღვრა და ინფორმაციის ასახვა პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
ე) იმ პროფესიული განათლების მასწავლებელთა განსაზღვრა, რომელიც განახორციელებს სასწავლო პროცესს პროფესიულ სტუდენტთა შესაბამისი ჯგუფისათვის; მასწავლებელთა დატვირთვის სქემის შემუშავება და დამტკიცება;
ვ) პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის შესაბამისად, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან შეთანხმების გაფორმება;
ზ) სასწავლო კალენდრის შემუშავება;

თ) მეცადინეობის განრიგის შემუშავება;
ი) პროფესიული განათლების მასწავლებლებთან სამუშაო შეხვედრის ორგანიზება;
კ) მოდულის განხორციელებისათვის კალენდარული გეგმის/მატრიცის შემუშავება;
ლ) სწავლებისათვის საჭირო მასალა-ნედლეულის განსაზღვრა და მოთხოვნა;
მ) პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრების ორგანიზება.

მუხლი 17. სასწავლო პროცესის ორგანიზება

1. კოლეჯში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კოლეჯის მისამართზე: ქ. ბათუმი, მ.ლერმონტოვის ქ. №92 ა ან/ და პარტნიორი ორგანიზაციების/სასწავლო საწარმოების ბაზაზე, რაც სავალდებულოდ მტკიცდება შესაბამისი ბრძანებით.

2. კოლეჯში პროფესიული განათლების მიმართულებით სასწავლო პროცესი შესაძლებელია დაიგეგმოს კვირაში 5 დღის მანძილზე (ორშაბათი - პარასკევი). იშვიათ შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტებთან/მსმენელებთან და პასუხისმგებელ პირებთან შეთანხმებით დასაშვებია მეცადინეობის შაბათ დღეს ჩატარება, თუ დასაბუთებულია აღნიშნული საჭიროება.

3. სასწავლო პროცესის დაგეგმვის პროცესს ხელმძღვანელობს დირექტორის მოადგილე, სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ მენეჯერებთან, სპეციალისტებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან კოორდინაციით.

4. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია შემდეგი საკითხები:

ა) ჯგუფების ოდენობა და საჭირო გარემო, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით;

ბ) პროფესიული განათლების მასწავლებლების საათობრივი დატვირთვა მიმდინარე სწავლების ციკლში განსახორციელებელ პროგრამაზე/მოდულებზე, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი"-ს მოთხოვნების გათვალისწინებით;

გ) დუალური და კოოპერაციული სწავლების თავისებურებები;

დ) გასათვალისწინებელია მოდულის „ქართული ენა A 1" და „ქართული ენა B1" მოდულის სწავლების საჭიროება, თუ პროგრამაზე ჩაირიცხა პირ(ებ)ი რუსულ, სომხურ ან აზერბაიჯანულ ენაზე შერჩევის გზით;

ე) საჭიროების შემთხვევაში გასათვალისწინებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსახორციელებელი სასწავლო პროცესი;

ვ) საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებულია დისტანციური/ჰიბრიდული მიდგომით განსახორციელებელი სასწავლო პროცესი;

ზ) საჭიროების შემთხვევაში, გათვალისწინებულია ერთი და იმავე მოდულების ფარგლებში, სასწავლო ჯგუფების გაერთიანების შესაძლებლობა;

თ) სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გასათვალისწინებელია სხვადასხვა ცვლებში სწავლების, შეჭრილი გრაფიკით სწავლების შესაძლებლობა, მათ შორის, სასწავლო პროცესის დაგეგმვა პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა საერთო ინტერესების გათვალისწინებით.

5. პროგრამებზე სასწავლო ჯგუფების დაკომპლექტებისთანავე ჯგუფებს ენიჭება ნომრები, რაც განისაზღვრება შესაბამისი ბრძანებით (ნომრის მინიჭებისას გათვალისწინებულია პროგრამის ოთხნიშნა კოდი და ასეულობითი ნუმერაცია).

6. პროგრამაზე სწავლის დაწყებამდე ნაწილდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა და ის მტკიცდება შესაბამისი ბრძანებით.

7. საათობრივი დატვირთვისას გათვალისწინებულია, რომ რუსულ, სომხურ ან აზერბაიჯანულ ენაზე შერჩევის გზით ჩარიცხული პირები სწავლას იწყებენ „ქართული ენა A 2" მოდულით. ხოლო მეოთხე და მეხუთე დონის პროგრამებზე „ქართული ენა A 2" დაძლევის შემდეგ ისწავლება მოდული „ქართული ენა B1".

8. პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივ დატვირთვას ამტკიცებს დირექტორი, სასწავლო პროცესის მენეჯერის (ქედისა და შუახევის მისამართებზე ასევე - სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი) წარდგინებით.

9. პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის შესაბამისად, ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მენეჯერი კოორდინაციას უწევს მასწავლებლებთან შესაბამისი შეთანხმებების გაფორმების პროცესს.

10. სასწავლო ცხრილებს, სასწავლო გეგმების შესაბამისად, შეიმუშავებს სასწავლო პროცესის მენეჯერი (ქედისა და შუახევის მისამართებზე - სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერები), წინამდებარე მუხლის მე- 2 პუნქტის შესაბამისად.

11. მეცადინეობათა სასწავლო გრაფიკი განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას და ის ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის. მეცადინეობათა გრაფიკს, სასწავლო პროცესის მენეჯერი (ქედისა და შუახევის მისამართებზე ასევე - სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი) ასევე აწვდის პროფესიულ სტუდენტებს.

12. მეცადინეობების ცხრილის ცვლილება დასაშვებია მხოლოდ სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირებთან შეთანხმებით (სასწავლო პროცესის მენეჯერი (ქედისა და შუახევის მისამართებზე ასევე - სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი).

13. პროფესიულ სტუდენტთა სწრებადობა აღირიცხება მატერიალური ჟურნალებში (განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ელექტრონული ჟურნალების ამოქმედებამდე).

14. დუალური და კოოპერაციული პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის სასწავლო საწარმოში/პარტნიორ კომპანიაში გამოცხადება და სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალით.

15. დუალური პროგრამებისთვის პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალის ფორმა შემუშავდება კანონმდებლობით დადგენილი ფორმის გათვალისწინებით.

16. კოოპერაციული პროგრამისთვის თანაგანმახორციელებელ საწარმოში პროფესიულ სტუდენტთა სწრებადობისა და მათი საქმიანობის აღრიცხვის მიზნით, პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალის ფორმას შეიმუშავებს და ამტკიცებს კოლეჯი.

17. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე მსმენელთა სწრებადობა აღირიცხება მატერიალური ჟურნალში.

18. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მეცადინეობის ხანგრძლივობა შეადგენს ერთ ასტრონომიულ საათს (აკადემიური საათი - 50 წუთი, შესვენება 10 წუთი).

19. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე/არაფორმალურ პროგრამებზე/ტრენინგ- კურსებზე მეცადინეობის ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 45 წუთზე ნაკლები.

20. კოლეჯში სასწავლო პროცესის განხორციელებისას დაცულია, უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემო, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი შეიმუშავებს პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესს.

21. ფორს-მაჟორული გარემოებების, სასწავლებლისგან დამოუკიდებელი გარემოებების ან სხვა წინასწარ უცნობი გარემოებების/საჭიროებების შემთხვევაში, როდესაც ვერ ხერხდება/შეუძლებელია დადგენილი სასწავლო პროცესის განხორციელება/სასწავლო გეგმის დაცვა, კოლეჯი მოქნილად რეაგირებს აღნიშნულ გარემოებებზე და პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს უქმნის მათ ინტერესებზე მორგებული პირობებით ადეკვატური განათლების მიღების შესაძლებლობას - დასწრებითი ფორმატის სასწავლო პროცესის ჩანაცვლებას ჰიბრიდული ან დისტანციური სწავლების ფორმატით.

22. თუ ერთი და იმავე პროგრამის პარალელურ ჯგუფებში დარჩება ჯამში 10 პროფესიული სტუდენტი კოლეჯი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ჯგუფების გაერთიანების თაობაზე, თუკი ეს არ გააუარესებს პროფესიული სტუდენტის მდგომარეობას სწავლების ცვლებიდან გამომდინარე.

23. კოლეჯი უფლებამოსილია ერთი და იმავე მოდულების ფარგლებში გააერთიანოს სხვადასხვა პროგრამათა სასწავლო ჯგუფები, თუკი ეს არ გააუარესებს პროფესიული

სტუდენტის მდგომარეობას სწავლების ცვლებიდან გამომდინარე და გაერთიანებულ ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა არ აღემატება თუნდაც ერთ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფში მაქსიმალურ ოდენობას.

24. პროფესიული სტუდენტები ისვენებენ საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსით“ გათვალისწინებულ უქმე და დასვენების დღეებში, ასევე, არდადეგების პერიოდში, რომელიც ცხადდება დირექტორის შესაბამისი ბრძანებით.

მუხლი 18. სასწავლო პროცესის წარმართვა ჰიბრიდულ ან დისტანციურ რეჟიმში

კანონმდებლობით დადგენილი შესაძლებლობის ფარგლებში, კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის წარმართვას ჰიბრიდულ ან დისტანციურ რეჟიმში, რაც რეგულირდება დირექტორის შესაბამისი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.

მუხლი 19. კალენდარული გეგმისა და მატრიცის შემუშავება

1. კალენდარული გეგმა დგება კონკრეტული მოდულისთვის (ზოგადი, პროფესიული და არჩევითი) და ასრულებს მოდულის განხორციელების დაგეგმვის ფუნქციას.
2. ინტეგრირებული ზოგადი მოდულებისთვის პროფესიული განათლების მასწავლებელი ადგენს მატრიცას, რომლის სარეკომენდაციო ფორმა შემუშავებულია ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ.
3. სასწავლო პროცესის კალენდარული გეგმითა და მატრიცით ორგანიზება ხელს უწყობს პროგრამით განსაზღვრული მიზნების მიღწევას, პროფესიული სტუდენტის მიერ შესაბამისი მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, დადასტურებას.
4. კალენდარული გეგმა/მატრიცა უნდა ფარავდეს მოდულით მისაღწევ ყველა სწავლის შედეგს და შესაბამისობაში უნდა იყოს მოდულთან.
5. კონკრეტული მოდულის კალენდარულ გეგმას/მატრიცას ადგენს მოდულის განმახორციელებელი პირი, მოდულის განხორციელების დაწყებამდე და წარუდგენს სასწავლო პროცესის მენეჯერს/ სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერს (ქედა და შუახევი).
6. პროფესიული განათლების მასწავლებელთა კონსულტირებას კალენდარული გეგმის/მატრიცის წარმოებასთან დაკავშირებით უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მენეჯერს/ სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერს (ქედა და შუახევი).
7. კალენდარული გეგმის/მატრიცის შემდგენელ პირს მიეწოდება სასწავლო გეგმით განსაზღვრული ინფორმაცია, მოდულის განხორციელების ინტენსივობა და მოდულის დაწყების და დასრულების თარიღები, ასევე საჭიროების შემთხვევაში სხვა აუცილებელი ინფორმაცია.
8. კალენდარული გეგმისა და მატრიცის ფორმა მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

მუხლი 20. სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები

1. კოლეჯი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (შემდგომში -,,სსსმ“) პირთათვის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შემდგომში - „შშმ“)

პირთათვის ინდივიდუალურად მორგებულ სასწავლო პროცესს და საჭირო სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას, აგრეთვე სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომობას.

2. ინკლუზიური განათლების დანერგვის მიზნით, კოლეჯი საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს დამატებითი ადამიანური და მატერიალური რესურსის მობილიზებას და უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნას.

3. კანონმდებლობის შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტთა მიღებასთან დაკავშირებით ანკეტა - კითხვარის შევსებისას, გათვალისწინებულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის შესაბამისად 15%-ის ფარგლებში კვოტა სსსმ პირთათვის.

4. კოლეჯი ქმნის ინკლუზიური პროფესიული განათლების განხორციელების პირობებს, საჭიროების შემთხვევაში, წინამდებარე წესის 21-ე მუხლის შესაბამისად, სსსმ პროფესიული სტუდენტისათვის/მსმენელისთვის შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, უზრუნველყოფს სოციალურ ადაპტაციას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციას.

5. კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლებლის ტერიტორიაზე შშმ პირთა თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობას. შშმ პირებს აქვთ თავისუფალი წვდომა აუდიტორიებთან, პერსონალის სამუშაო ოთახებთან, ბიბლიოთეკასთან, სპეციალურად მოწყობილ სანიტარულ კვანძთან და ზოგადად პროფესიული სტუდენტისა თუ მსმენელისთვის განსაზღვრულ კოლეჯის სხვა სივრცეებთან, რაც საჭიროა სრულფასოვანი საგანმანათლებლო, ადმინისტრაციული და ექსტრაკურიკულური სერვისების მისაღებად.

მუხლი 21 . ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავება

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ხდება, როცა:

ა) პროფესიული განათლების მასწავლებლის დაკვირვებით, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან თანამშრომლობით, იკვეთება სსსმ პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება;

ბ) ისგ-ს შემუშავებასთან დაკავშირებით კოლეჯის მიმართავს სსსმ პროფესიული სტუდენტი/კანონიერი წარმომადგენელი;

გ) მობილობის საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის მიერ უკვე მიღწეულ/დადასტურებულ სწავლის შედეგებსა და სასწავლო გეგმას შორის არის განსვლა და იკვეთება გამოწვევა ცალკეული მოდულების კრედიტების ათვისებასთან დაკავშირებით;

დ) სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის, პროგრამის ცვლილებიდან გამომდინარე, იკვეთება გამოწვევა ცალკეული მოდულების კრედიტების ათვისებასთან დაკავშირებით;

ვ) საჭიროება შესაძლებელია გამოიკვეთოს სხვა მიზეზით, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით და სპეციალურად შექმნილი კომისია შეისწავლის საკითხს.

2. სსსმ პროფესიული სტუდენტისთვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება პროგრამის მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და აზუსტებს სსსმ სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო სსსმ სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სსსმ სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.

4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დგება მოდულის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში (თუკი მოდულის სპეციფიკა იძლევა ამის შესაძლებლობას ან არ არსებობს სხვა

ობიექტური გარემოება), პროფესიული განათლების მასწავლებლისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის მიერ სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად.

5. მოდულის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია აცნობოს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის სასწავლო საჭიროებ(ებ)ის შესახებ.

6. სსსმ პროფესიული სტუდენტისთვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არ მტკიცდება. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში ჩასატარებელი დამატებითი მეცადინეობების, რესურსის და სხვა საჭიროებების შესახებ ინფორმაციას დირექციას წერილობით აწვდის ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი.

7. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებელი უფლებამოსილი ხდება სასწავლო პროცესის ფარგლებში მიმართოს სწავლების განსხვავებულ ხერხებსა და სტრატეგიებს, შეარჩიოს და გამოიყენოს პროფესიული სტუდენტისთვის ეფექტიანი სწავლა-სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდები, პროფესიული სტუდენტისთვის დაადგინოს საათების განაწილების განსხვავებული ინდივიდუალური სქემა, განსაზღვროს, შეცვალოს და გამოიყენოს პროფესიული სტუდენტისთვის ოპტიმალური სასწავლო გარემო, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა, გამოიყენოს საჭირო რაოდენობით სასწავლო მასალა და ნედლეული, შეცვალოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა და განახორციელოს სხვა საჭირო აქტივობები.

8. პროფესიული სტუდენტის მობილობის შემთხვევაში:

ა) სასწავლო პროცესის მენეჯერი (ქედისა და შუახევის მისამართებზე ასევე - სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი) აანალიზებს იმ პროგრამათა სასწავლო გეგმებს რომელზეც სწავლობდა პროფესიული სტუდენტი და რომელზეც განხორციელდა მისი მობილობა, ასევე აანალიზებს პროფესიულ სტუდენტის მიერ მიღწეულ სწავლის შედეგებს და საჭიროების იდენტიფიცირების შემთხვევაში ან პროფესიული სტუდენტის/კანონიერი წარმომადგენლის მომართვის შემთხვევაში მიმართავს კოლეჯის დირექტორს ისგ-ს საჭიროების შესწავლის მიზნით კომისიის შექმნის თაობაზე;

ბ) კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება კომისია, რომლის სავალდებულო წევრები არიან: სასწავლო პროცესის მენეჯერი (ქედისა და შუახევის მისამართებზე ასევე - სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი) პროგრამის ხელმძღვანელი და იმ მოდულების განმახორციელებლები რომლის სწავლის შედეგების მიღწევასთან მიმართებით იკვეთება გამოწვევა;

გ) კომისია შეისწავლის იმ პროგრამათა სასწავლო გეგმებს რომელზეც სწავლობდა პროფესიული სტუდენტი და რომელზეც განხორციელდა მისი მობილობა, ასევე აანალიზებს პროფესიულ სტუდენტის მიერ მიღწეულ სწავლის შედეგებს და მაქსიმუმ 7 სამუშაო დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას;

დ) კომისიის გადაწყვეტილება აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები; ე) კომისიის გადაწყვეტილება 2 სამუშაო დღის ვადაში ეცნობება პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენელს;

ვ) კომისიის მიერ იგს-ს შემუშავების საჭიროების დადგენის შემთხვევაში, კომისია წარმოადგენს ისგ-ს პროექტს და დასამტკიცებლად წარუდგენს რ დირექტორს;

ზ) თუ ისგ-ს შემუშავება უკავშირდება ფინანსურ რესურსს ან პროფესიული სტუდენტისთვის სწავლის პერიოდის გახანგრძლივებას, საჭიროა განმცხადებლის წერილობითი თანხმობა და სასწავლო ხელშეკრულებაში ცვლილება ან წერილობითი შეთანხმება;

თ) მობილობით ჩარიცხული პირის ისგ მტკიცდება დირექტორის შესაბამისი ბრძანებით.

9. თუ პროფესიული სტუდენტის სტატუსი აღდგენის მომენტისთვის პროგრამაში რომელზეც სწავლობდა პროფესიული სტუდენტი განხორციელებულია ცვლილებები:

ა) სასწავლო პროცესის მენეჯერი (ქედისა და შუახევის მისამართებზე ასევე - სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი) აანალიზებს პროფესიულ სტუდენტის მიერ

მიღწეულ სწავლის შედეგებს და არსებულ სასწავლო გეგმას და საჭიროების იდენტიფიცირების შემთხვევაში ან პროფესიული სტუდენტის/კანონიერი წარმომადგენლის მომართვის შემთხვევაში მიმართავს კოლეჯის დირექტორს ისგ-ს საჭიროების შესწავლის მიზნით კომისიის შექმნის თაობაზე;

ბ) კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება კომისია, რომლის სავალდებულო წევრები არიან: სასწავლო პროცესის მენეჯერი (ქედისა და შუახევის მისამართებზე ასევე - სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი)ს უფროსი; პროგრამის ხელმძღვანელი და იმ მოდულების განმახორციელებლები რომლის სწავლის შედეგების მიღწევასთან მიმართებით იკვეთება გამოწვევა;

გ) კომისია აანალიზებს პროფესიულ სტუდენტის მიერ მიღწეულ სწავლის შედეგებს და პროგრამის სასწავლო გეგმას და მაქსიმუმ 7 სამუშაო დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას;

დ) კომისიის გადაწყვეტილება აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები;

ე) კომისიის გადაწყვეტილება 2 სამუშაო დღის ვადაში ეცნობება პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენელს;

ვ) კომისიის მიერ იგს-ს შემუშავების საჭიროების დადგენის შემთხვევაში, კომისია წარმოადგენს ისგ-ს პროექტს და დასამტკიცებლად წარუდგენს დირექტორს;

ზ) თუ ისგ-ს შემუშავება უკავშირდება ფინანსურ რესურსს ან პროფესიული სტუდენტისთვის სწავლის პერიოდის გახანგრძლივებას, საჭიროა განმცხადებლის წერილობითი თანხმობა და სასწავლო ხელშეკრულებაში ცვლილება ან წერილობითი შეთანხმება;

თ) სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის ისგ მტკიცდება დირექტორის შესაბამისი ბრძანებით.

10. კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს ისგ-ს შემუშავების პროცესში პროფესიული სტუდენტის/ კანონიერი წარმომადგენლის (საჭიროების შემთხვევაში) ჩართულობა. აღნიშნული უნდა აისახოს ოქმში.

11. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შესაძლებელია შემუშავდეს სასწავლო ჯგუფისთვის, მათ შორის, ფორს - მაჟორული სიტუაციებიდან გამომდინარე. აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი კომისია და ისგ მტკიცდება დირექტორის მიერ.

მუხლი 22. დუალური პროგრამის განხორციელების თავისებურებები

1. დუალური პროგრამა ხორციელდება ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 09 აგვისტოს №416 დადგენილებისა და წინამდებარე წესის შესაბამისად.

2. დუალური პროგრამის ფარგლებში, კოლეჯისა და სასწავლო საწარმოს (შემდეგში - საწარმოს) უფლება - მოვალეობები, რომლებიც არეგულირებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს, განსაზღვრულია მხარეებს შორის გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულებით.

3. კოლეჯი საწარმოში სწავლის დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე აცნობებს საწარმოს სწავლის დაწყების პერიოდის თაობაზე.

4. კოლეჯი ახორციელებს მხარდამჭერ ღონისძიებებს შესაბამის საწარმოსა და პროფესიულ სტუდენტს შორის ხელშეკრულების (შრომითი ან მომსახურების/სამუშაოს გაწევის შესახებ ხელშეკრულება) გაფორმების მიზნებისთვის;

5. კოლეჯის სასწავლო საწარმოს აწვდის შემდეგ ინფორმაციას:

ა) პროფესიულ სტუდენტთა საიდენტიფიკაციო (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი) და საკონტაქტო მონაცემებს, მათთან ხელშეკრულების გაფორმების, სწავლებისა და შეფასების მიზნებისთვის;

ბ) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის/მობილობის შესახებ; ინფორმაციას შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდების შესახებ;

6. კოლეჯი გეგმავს სასწავლო პროცესის გრაფიკს საწარმოსთან შეთანხმებით იმგვარად, რომ ხელი შეეწყოს პროფესიული სტუდენტის საუკეთესო ინტერესებს;

7. საწარმოში სასწავლის დაწყებამდე დუალური პროგრამების კოორდინატორი პროფესიულ სტუდენტს გადასცემს ჩანაწერების ჟურნალს და განუმარტავს პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალის წარმოების წესს.

8. დუალური პროგრამების კოორდინატორი/ პროგრამის ხელმძღვანელი მხარდაჭერას უწევენ პროფესიულ სტუდენტთა საწამოში სწავლების პროცესს.

9. დუალური პროგრამის ფარგლებში სასწავლო საწარმოსთან თანამშრომლობის ფარგლებში საწარმო:

ა) გეგმავს პროფესიული სტუდენტის სამუშაო/სასწავლო გრაფიკს კოლეჯთან შეთანხმებით იმგვარად, რომ ხელი შეეწყოს პროფესიული სტუდენტის საუკეთესო ინტერესებს;

ბ) აფორმებს შესაბამისი პროგრამის პროფესიულ სტუდენტთან ხელშეკრულებას (შრომითი ან მომსახურების/სამუშაოს გაწევის შესახებ ხელშეკრულება);

გ) პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით განსაზღვრავს ინსტრუქტორს/ინსტრუქტორებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან პროფესიულ სტუდენტთა რეალურ სამუშაო გარემოში სწავლებაზე;

დ) სასწავლო საწარმო აღრიცხავს სასწავლო/სამუშაო პროცესზე პროფესიული სტუდენტის გამოცხადების/გამოუცხადებლობის შესახებ. ინფორმაციას. აღრიცხვის შედეგებს, ყოველი თვის ბოლოს, ინსტრუქტორი გააცნობს პროფესიულ სტუდენტს;

ე) სასწავლო საწარმოს მიერ გამოყოფილი ინსტრუქტორი/ინსტრუქტორები, ამოწმებს პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალში ჩანაწერების არსებობას, ასევე ამოწმებს ამ ჩანაწერების სისრულეს და ადასტურებს მითითებული მონაცემების უტყუარობას, სასწავლო/სამუშაო პროცესის მიმდინარეობისას, ან არანაკლებ თვეში ერთხელ;

ვ) იმ შემთხვევაში, თუ ჩანაწერების ჟურნალში მითითებული მონაცემები არ ასახავს პროფესიული სტუდენტის აქტივობას, სასწავლო საწარმოს მიერ გამოყოფილი ინსტრუქტორი არ ადასტურებს ჩაწერილ მონაცემებს და პროფესიულ სტუდენტს აძლევს შესასრულებლად სავალდებულო მითითებს;

ზ) სასწავლო საწარმო უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის უფლებას, გაასაჩივროს ინსტრუქტორის მიერ გაცემული შეფასება. აღნიშნული არ გამორიცხავს პროფესიული სტუდენტის უფლებას, ინსტრუქტორის შეფასებასთან დაკავშირებით, პრეტენზიით მიმართოს საწარმოს/კოლეჯს. ამ შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის პრეტენზიის საფუძველზე, კოლეჯი მიმართავს საწარმოს.

თ) პროფესიული სტუდენტის პრეტენზიის განხილვის მიზნით, საწარმო ქმნის პრეტენზიის განმხილველ კომისიას, კოლეჯის წარმომადგენლის მონაწილეობით და იღებს გადაწყვეტილებას პრეტენზიის დაკმაყოფილების/ნაწილობრივ დაკმაყოფილების/დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, პროფესიული სტუდენტის/კოლეჯის მიმართვიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღისა.

10. სასწავლო საწარმო კოლეჯს აწვდის:

ა) პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების ასლს;

ბ) ინფორმაციას ინსტრუქტორთა თაობაზე, საწარმოში სწავლის დაწყებამდე, ასევე მათი ჩანაცვლების შემთხვევაში;

გ) პროფესიული სტუდენტის სასწავლო/სამუშაო პროცესზე გამოუცხადებლობის შესახებ ინფორმაციას, პროფესიული სტუდენტისთვის გაცნობიდან არაუგვიანეს 2 დღისა;

დ) პროფესიული სტუდენტის მიერ, საწარმოში დადგენილი წესრიგის დარღვევის შესახებ ინფორმაციას, აღნიშნული დარღვევის დადასტურებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში;

ე) ინფორმაციას პროფესიულ სტუდენტთან ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.

11. საწარმოში სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნებისთვის, დუალური პროგრამების კოორდინატორის მიერ წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, პროფესიულ სტუდენტთა საწარმოში განაწილება ხორციელდება დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

12. პროფესიულ სტუდენტთა საწარმოებში განაწილებისას გათვალისწინებულია აპლიკანტთა შერჩევის კომისიის ოქმში ასახული ინფორმაცია, საწარმოთა მიერ შერჩეულ აპლიკანტთა თაობაზე.

13. პროფესიულ სტუდენტთა საწარმოში განაწილება ექვემდებარება ცვლილებას იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტი ითხოვს საწარმოს ცვლილებას და აღნიშნული შესაძლებელია ალტერნატიული საწარმოს შეთავაზების ფარგლებში.

14. კოლეჯისა და საწარმოს თანამშრომლობის საკითხები შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებასთან მიმართებით დარეგულირებულია მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, კოლეჯის შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესებით.

მუხლი 23. კოოპერაციული პროგრამის განხორციელების თავისებურებები

1. კოოპერაციული პროგრამის შემთხვევაში, პარტნიორი კომპანიის შერჩევა ხორციელდება ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 09 აგვისტოს №416 დადგენილების საფუძველზე შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,კოოპერაციული სწავლების ფარგლებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თანაგანმახორციელებელი საწარმოს შერჩევისა და თანამშრომლობის წესის შესაბამისად.

2. კოოპერაციული პროგრამის ფარგლებში, კოლეჯისა და პარტნიორის უფლება - მოვალეობები, რომლებიც არეგულირებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს, განსაზღვრულია მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

3. კოოპერაციული პროგრამის ფარგლებში პარტნიორ ორგანიზაციასთან თანამშრომლობის ფარგლებში კოლეჯი იღებს ვალდებულებას:

ა) პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა მიღების პროცესში ითანამშრომლოს შესაბამის დარგობრივი უნარების ორგანიზაციასა (არსებობის შემთხვევაში) და პარტნიორ ორგანიზაციასთან;

ბ) შუალედური შეფასება და საკვალიფიკაციო გამოცდა დაგეგმოს დარგობრივი უნარების ორგანიზაციასა (არსებობის შემთხვევაში) და პარტნიორ ორგანიზაციასთან ერთად, ამასთან, უზრუნველყოს პროცესის ადმინისტრაციული მხარდაჭერა.

გ) წერილობით აცნობოს პარტნიორ ორგანიზაციას პროგრამის განხორციელების უფლების ჩამორთმევის ან კოლეჯის მიერ პროგრამის განხორციელების უფლებაზე უარის თქმის შემთხვევაში, შესაბამისი გარემოების დადგომიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

დ) პარტნიორი ორგანიზაციის მიერ განსაზღვრულ ინსტრუქტორებს (მინიმუმ 1 ინსტრუქტორი თითოეული მოდულის ფარგლებში) გააცნოს მოდულ(ებ)ი და მიაწოდოს ინფორმაცია, პარტნიორ ორგანიზაციაში მისაღწევი სწავლის შედეგების შესახებ.

ე) განსაზღვროს პასუხისმგებელი პირი პარტნიორ ორგანიზაციაში სწავლების პროცესის კოლეჯის მხრიდან კოორდინირების მიზნებისთვის.

ვ) პარტნიორ ორგანიზაციაში სწავლის დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე მიაწოდოს პარტნიორ ორგანიზაციას ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ.

ზ) პარტნიორ ორგანიზაციაში სწავლის დაწყებამდე მინიმუმ ორი კვირით ადრე გააცნოს პროფესიულ სტუდენტებს საწარმოს შინაგანაწესი და პროფესიული სტუდენტების ჩანაწერების ჟურნალის წარმოების წესი.

თ) ორგანიზაციაში სწავლის დაწყებამდე მინიმუმ ორი კვირით ადრე გააცნოს პროფესიულ სტუდენტებს მოდულის ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების წესი და სასწავლო გრაფიკი.

ი) ყოველკვირეულად უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა სწრებადობის მონიტორინგი.

კ) ინფო ტურის დაგეგმვის მიზნით, მინიმუმ ერთი კვირით ადრე შეათანხმოს პარტნიორთან ვიზიტის მიზანი და ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების რაოდენობის შესახებ.

ლ) საწარმოსთან კოორდინაციით უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეუფერხებელი განხორციელება.

მ) ყოველმხრივ შეუწყოს ხელი საწარმოს, მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში.

4. კოოპერაციული სწავლების პროცესში პარტნიორ ორგანიზაციასთან თანამშრომლობა, პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერა უზრუნველყოფილია დირექტორის მოადგილის, სასწავლო პროცესის და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერისა და პროგრამის ხელმძღვანელის კოორდინირებული თანამშრომლობის ფარგლებში. პროგრამაზე სსსმ პროფესიული სტუდენტის სწავლის შემთხვევაში საჭიროებიდან გამომდინარე - შესაბამისი ადამიანური რესურსით.

5. კოლეჯთან თანამშრომლობის ფარგლებში პარტნიორი ორგანიზაცია იღებს ვალდებულებას:

ა) კოლეჯსა და შესაბამის დარგობრივი უნარების ორგანიზაციას (არსებობის შემთხვევაში) გაუზიაროს პროგრამის განხორციელების პროცესში მიღებული გამოცდილება. ასევე, მიაწოდოს ინფორმაცია პროგრამის განხორციელების პროცესში გამოვლენილი ხარვეზების შესახებ.

ბ) კოლეჯის მიმართვის შემთხვევაში, მონაწილეობა მიიღოს აპლიკანტთა შერჩევის პროცესში და ამ მიზნით ითანამშრომლოს დარგობრივი უნარების ორგანიზაციასთან (არსებობის შემთხვევაში).

გ) კოლეჯის მიმართვის შემთხვევაში, მონაწილეობა მიიღოს შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის დაგეგმვასა და ჩატარებაში.

დ) სწავლების დაწყებამდე გააცნოს პროფესიულ სტუდენტებს შრომის დაცვის უზრუნველყოფისა და უსაფრთხოების ნორმები, უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტების ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის უსაფრთხო პირობები.

ე) გამოყოს შესაბამისი კვალიფიკაციის ინსტრუქტორი (მინიმუმ 1 ინსტრუქტორი თითოეული მოდულის ფარგლებში), რომელიც წარმართავს კომპანიაში სწავლების პროცესს, მონიტორინგს გაუწევს პროფესიულ სტუდენტთა მიერ ჩანაწერების ჟურნალის წარმოებას და შეაფასებს პროფესიულ სტუდენტებს მოდულ(ებ)ით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან მიმართებით.

ვ) პროფესიული სტუდენტის შეფასების შედეგები, შეფასებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) დღისა, აცნობოს კოლეჯს.

ზ) კომპანიაში პროფესიული სტუდენტის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, აცნობოს კოლეჯს, არაუგვიანეს 5 (ხუთი) დღის ვადაში.

თ) უზრუნველყოს კომპანიაში მისაღწევი სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო, კანონმდებლობით დადგენილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სასწავლო რესურსი.

ი) ხელი შეუწყოს სტანდარტების შესრულების მონიტორინგს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში;

კ) წერილობით აცნობოს კოლეჯს მისი ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის და ისეთი სხვა გარემოებების დადგომის შესახებ, რაც გამოიწვევს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას, შესაბამისი გარემოების დადგომამდე სამი თვით ადრე, ხოლო ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში, შესაბამისი გარემოების დადგომიდან შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში.

ლ) კომპანიაში სწავლების მიმდინარეობისას ხელი შეუწყოს პროფესიული სტუდენტების მიერ მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის პროცესს;

მ) კოლეჯის მიმართვის შემთხვევაში, ვიზიტის მიზნიდან გამომდინარე უზრუნველყოს კომპეტენტური პირის გამოყოფა ინფო ტურის ჩატარების მიზნით;

ნ) მიაწოდოს კოლეჯს კომპანიის შინაგანაწესი, მისი პროფესიული სტუდენტებისთვის გაცნობის მიზნით;

ო) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ხელი შეუწყოს კოლეჯის მიერ პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების პროცედურის განხორციელებას და ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობას;

6. პარტნიორ ორგანიზაციაში სწავლის დაწყების მიზნებისთვის, სასწავლო პროცესის და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, კოლეჯის დირექტორის მიერ გამოიცემა შესაბამისი აქტი პარტნიორ ორგანიზაციებში პროფესიულ სტუდენტთა სწავლის დაწყების თაობაზე, სწავლების პერიოდისა და ინსტრუქტორთა საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით.

7. საწარმოო პრაქტიკის მოდულის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, მისი მხრიდან ინიცირების, კოლეჯის მიერ დადგენილი წესით კომპანიის მზაობისა და კოოპერაციულ სწავლებაში ჩართვისთვის აუცილებელი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, კოლეჯი აცხადებს მზაობას კოოპერაციული სწავლების ფარგლებში თანამშრომლობის ხელშეკრულება/შეთანხმება გაუფორმოს კომპანიას, სადაც კოლეჯის პროფესიული სტუდენტია დასაქმებული (მათ შორის, ერთჯერადი ხელშეკრულება/შეთანხმება, მხოლოდ კონკრეტული პროფესიული სტუდენტის საწარმოო პრაქტიკის გავლის მიზნებისთვის).

8. აღნიშნული მუხლის მე - 7 პუნქტის მიზნებისთვის, პროფესიულმა სტუდენტმა კოლეჯს ინიცირების წერილით უნდა მიმართოს საწარმოო პრაქტიკის დაწყებამდე არანაკლებ 3 თვით ადრე.

9. პროფესიული სტუდენტის დამსაქმებელთან თანამშრომლობის ხელშეკრულების/შეთანხმების გაფორმების შემთხვევაში, კოლეჯი დადგენილი წესის შესაბამისად ახდენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირებას.

10. პარტნიორ ორგანიზაციაში სწავლის დასრულების შემდეგ კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პარტნიორთა გამოკითხვას.

თავი IV. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა

მუხლი 24. პროფესიული სტუდენტის შეფასების სახეები

1. კოლეჯი უზრუნველყოფს ვალიდურ, სანდო, ობიექტურ, სამართლიან და გამჭვირვალე შეფასების სისტემის მოქმედებას პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევების შესაფასებლად.
2. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
3. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე, ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
4. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

5. შეფასების მიმართულებები და შეფასების მეთოდები მოცემულია მოდულში.
6. შეფასების ინსტრუმენტის სტრუქტურა და შეფასების ვერიფიკაციის საკითხები მტკიცდება დირექტორის მიერ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით;

მუხლი 25. პროფესიული სტუდენტის განმსაზღვრელი შეფასების პროცესი

1. პროფესიული სტუდენტის მიერ კონკრეტული მოდულის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას ახდენს მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი, დუალური და კოოპერაციული პროგრამის შემთხვევაში, ასევე კომპანიის - ინსტრუქტორი;
2. შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი ფასდება კომისიური წესით;
3. ინტეგრირებული პროგრამების შემთხვევაში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების დადასტურებას უზრუნველყოფს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად შექმნილი დადასტურების კომისია;
4. სწავლის შედეგების განმსაზღვრელი შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს განმახორციელებელი პირის შეხედულებისამებრ - ყოველი სწავლის შედეგის დასასრულს და/ან რამდენიმე სწავლის შედეგის დასრულების შემდგომ. აღნიშნული ინფორმაცია შესაძლებელია ასახული იყოს მოდულში და სავალდებულოდ ასახულია კალენდარულ გეგმაში;
5. განმსაზღვრელი შეფასება დასტურდება შესაბამისი შეფასების მტკიცებულებით/მტკიცებულებებით;
6. მოდულის კრედიტები ათვისებულად ითვლება მოდულის ყველა სწავლის შედეგის დადასტურების შემთხვევაში;
7. პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტს მოდულის დაწყებისთანავე აცნობს მოქმედ შეფასების სისტემას და აწვდის განმსაზღვრელი შეფასების განხორციელების პროცესის თაობაზე ინფორმაციას;
8. პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტს აცნობებს შეფასების თარიღის შესახებ ინფორმაციას შეფასებამდე სულ მცირე 3 სამუშაო დღით ადრე.
9. პროფესიული განათლების მასწავლებელი განმსაზღვრელი შეფასების ჩატარების თარიღამდე პროფესიულ სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტში მოცემული დავალების არსისა და დავალების შესრულების ინსტრუქციის თაობაზე;
10. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია განმსაზღვრელ შეფასებაზე გამოცხადდეს შეფასების დაწყებისთვის განსაზღვრულ დროს, წინააღმდეგ შემთხვევაში მასწავლებელი უფლებამოსილია არ დაუშვას ის შეფასებაზე;

11. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთჯერ.

12. თუ მოდული მოდულზე დაშვების წინაპირობაა, პროფესიული სტუდენტი ვალდებულია სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ვადებში დაადასტუროს წინმსწრები მოდულის დაუდასტურებელი სწავლის შედეგი/შედეგები;

13. აღნიშნული მუხლის მე- 12 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში მოდულის მინიმუმ ერთი სწავლის შედეგის ვერ დადასტურება ითვლება პროფესიული სტუდენტის მიერ მოდულის კრედიტების აუთვისებლობად და პროფესიულ სტუდენტს აღარ აქვს მომდევნო მოდულზე სწავლის, შესაბამისად, პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა (პროფესიულ სტუდენტს 2 კვირის ვადაში შეუწყდება სტატუსი თუ ის აღნიშნულ პერიოდში არ მოითხოვს სტატუსის შეჩერებას

14. მოდულის დასრულებიდან მაქსიმუმ სამუშაო 10 დღის ვადაში (არ იგულისხმება წინმსწრები მოდულის დასრულება) მოდულის განმახორციელებელი, სასწავლო პროცესის მენეჯერთან შეთანხმებით, ნიშნავს განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასების თარიღს. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია წერილობითი ფორმით მიმართოს დირექციას და მოითხოვოს განმეორებითი შეფასების გადავადება, სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, განმეორებით შეფასებაზე პროფესიული სტუდენტის არ გამოცხადება ითვლება სწავლის შედეგის ვერ დადასტურებად;

15. მე-14 მუხლით განსაზღვრული ვადა არ ვრცელდება გასაჩივრებულ პირველ შეფასებაზე. ამ შემთხვევაში განმეორებითი შეფასების ვადები აითვლება აპელაციისათვის განსაზღვრული ვადების დასრულებიდან;

16. შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით, პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის /წინაპირობების დაძლევის გარეშე;

17. დუალური პროგრამის შემთხვევაში, კოლეჯსა და სასწავლო საწარმოს შორის დადებული თანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში, პროფესიული სტუდენტი მუშაობს საწარმოში, აწარმოებს პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალს, რომელსაც ამოწმებს ინსტრუქტორი და მიღწევის შემთხვევაში, უდასტურებს სწავლის შედეგებს;

18. სასწავლო საწარმოს ინსტრუქტორი განმსაზღვრელ შეფასებას გასცემს:

ა) შუალედურ შეფასებამდე;

ბ) სასწავლო საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგების მიღწევისთვის განსაზღვრული საკონტაქტო საათების დასრულებისას;

გ) სასწავლო საწარმოს ცვლილებისას.

19. კოოპერაციული პროგრამის შემთხვევაში, კოლეჯსა და პარტნიორ ორგანიზაციას შორის დადებული თანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში პროფესიული სტუდენტი სწავლებას გადის რეალურ სამუშაო გარემოში, აწარმოებს პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალს, რომელსაც ამოწმებს ინსტრუქტორი და მიღწევის შემთხვევაში, უდასტურებს სწავლის შედეგებს.

20. შეფასების შედეგები პროფესიულ სტუდენტს ეცნობება ინდივიდუალურად პროფესიული განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის მიერ, შეფასებიდან არაუგვიანეს მე-3 სამუშაო დღეს იმგვარად, რომ დაცული იქნას კონფიდენციალურობა და პროფესიული სტუდენტის პერსონალური მონაცემები. პროფესიული სტუდენტი ხელმოწერით ადასტურებს შეფასების გაცნობას;

21. პროფესიული სტუდენტის აკადემიური უნარების გაუმჯობესების მიზნით, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები უზრუნველყოფენ მის ინდივიდუალურ კონსულტირებას (კონფიდენციალურობის დაცვით). ჯგუფური კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციის გრაფიკს ადგენს სტუდენტური სერვისების უზრუნველყოფის სპეციალისტი.

მუხლი 26. პროფესიული სტუდენტის განმსაზღვრელი შეფასების გასაჩივრების (აპელაცია)

1. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს როგორც პირველადი ასევე გადაბარების შეფასების შედეგი.

2. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს შეფასების შესახებ ინფორმაციის მიღებიდან მეორე სამუშაო დღეს გაასაჩივროს შეფასების შედეგი, რისთვისაც განცხადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს.

3. კოლეჯის დირექტორი გასაჩივრების თაობაზე განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს შემდგომი სამუშაო დღისა საჩივრის განხილვის და გადაწყვეტილების მიღების მიზნით, გამოსცემს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს სააპელაციო კომისიის შექმნის თაობაზე.

4. სააპელაციო კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 3 წევრით.

5. სააპელაციო კომისია განიხილავს საჩივარს და იღებს გადაწყვეტილებას მისი უფლებამოსილების წარმოშობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, რაც ფორმდება შესაბამისი ოქმით;

6. სააპელაციო კომისია იღებს ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ გადაწყვეტილებას:

ა) პროფესიული სტუდენტის საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე;

ბ) მიღებული შეფასების ძალაში დატოვების თაობაზე.

7. გასაჩივრების შემთხვევაში, სააპელაციო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს დაესწროს მეცადინეობებს.

8. პროფესიულ სტუდენტს კომისიის გადაწყვეტილება იმავე დღეს ეცნობება მის პირად ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

9. განცხადების განხილვის შედეგად, დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, მიღებული შედეგი აისახება შესაბამის შეფასების დამატებით უწყისში.

10. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია გაასაჩივროს შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდის შეფასებები. აღნიშნული საკითხი რეგულირდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესებით.

მუხლი 27. პროფესიული სტუდენტის განმსაზღვრელი შეფასების შესახებ დოკუმენტაციის წარმოება

1. მოდულის ფარგლებში მოპოვებულ პროფესიული სტუდენტების შეფასების მტკიცებულებებს განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი ინახავს შესაბამისი ჯგუფის პორტფოლიოში.

2. მოდულის მიმდინარეობის პროცესში შეფასების მტკიცებულების შენახვაზე პასუხისმგებელია პროფესიული განათლების მასწავლებელი, გარდა დუალური და კოოპერაციული პროგრამების პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალისა, რომლის შენახვაზეც პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიულ სტუდენტს.

3. მოდულის დასრულებიდან ან განმეორებითი შეფასების დასრულებიდან ორი კვირის პერიოდში (10 სამუშაო დღე) პროფესიული განათლების მასწავლებელი სასწავლო პროცესის და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს აბარებს პროფესიული სტუდენტის მტკიცებულებებს (ქედისა და შუახევის მისამართებზე სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მხარდაჭერის სპეციალისტი).

4. სასწავლო პროცესის მენეჯერი (ქედისა და შუახევის მისამართებზე ასევე - სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მხარდაჭერის სპეციალისტი) პროფესიული განათლების მასწავლებლისგან იბარებს მტკიცებულებებს შეფასების უწყისის შესაბამისად.

5. დუალური პროგრამის შემთხვევაში, პროგრამის დასრულებიდან კვალიფიკაციის მინიჭებამდე პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალები ინახება დუალური პროგრამების კოორდინატორთან.

6. კოოპერაციული პროგრამის შემთხვევაში, პროგრამის დასრულებიდან კვალიფიკაციის მინიჭებამდე პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალები ინახება სასწავლო პროცესის და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერთან.

5. პროგრამის დასრულების შემდეგ შეფასების მტკიცებულებები გადაეცემა არქივს, სადაც ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან არანაკლებ 3 წელი.

მუხლი 28. შეფასების უწყისების წარმოება

1. პროფესიული სტუდენტის შეფასების შედეგები აისახება შეფასების უწყისში, რომლის ფორმასაც შეიმუშავებს დირექტორის მოადგილე, სასწავლო პროცესის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებთან თანამშრომლობით.

2. შეფასების უწყისი სავალდებულოდ მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: კოლეჯის დასახელება; დოკუმენტის დასახელება, პროგრამის დასახელება; მოდულის დასახელება და სარეგისტრაციო ნომერი; ჯგუფის ნომერი; ჩატარების თარიღი, პროფესიული განათლების მასწავლებლის სახელი, გვარი; სწავლის შედეგები; პროფესიული სტუდენტის გვარი, სახელი; დადასტურების აღსანიშნავად - ,,დადასტურდა", ვერ დადასტურების აღსანიშნავად ,,ვერ დადასტურდა", უწყისის ჩაბარების თარიღი, პროფესიული განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის, სასწავლო პროცესის მენეჯერის (ქედისა და შუახევის მისამართებზე ასევე - სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი), მომზადება /გადამზადების პროგრამების შემთხვევაში - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორის, ხელმოწერა.

3. შეფასების უწყისს აქვს კომენტარის ველი, სადაც აღინიშნება: პროფესიული სტუდენტის არ გამოცხადება, ისგ- ს სწავლების საკითხი, სსსმ სტატუსი (საჭიროების შემთხვევაში), ფორმალური/არაფორმალური განათლების აღიარება.

4. სსსმ პროფესიული სტუდენტისთვის, რომელიც სწავლებას გადის ისგ-ს ფარგლებში, შეფასების უწყისს დანართის სახით ახლავს პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური შეფასების ფურცელი, რომელიც ასახავს პროფესიული სტუდენტის მიღწევებს ისგ- სთან მიმართებით. აღნიშნულ შეფასების ფორმას პროფესიული განათლების მასწავლებელთან/ინსტრუქტორთან ერთად ხელს აწერს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი.

5. შეფასების უწყისს ამზადებს სტუდენტური სერვისების უზრუნველყოფის სპეციალისტი (ქედისა და შუახევის მისამართებზე ასევე, - სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მხარდაჭერის სპეციალისტი) და აწვდის პროფესიული განათლების მასწავლებელს, არაუგვიანეს შეფასების დღისა.

6. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია შეფასებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში ჩააბაროს შევსებული უწყისი სასწავლო პროცესის მენეჯერს (ქედისა და შუახევის მისამართებზე ასევე - სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერს)

7. სასწავლო პროცესის მენეჯერი (ქედისა და შუახევის მისამართებზე ასევე - სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი) ვალდებულია მოდულის დასრულებიდან/გადაბარების პერიოდის გასვლიდან 5 სამუშაო დღის ვადაში მოახსენოს დირექტორის მოადგილეს მოდულის დასრულებიდან გამომდინარე პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები.

8. პროგრამის დასრულების შემდეგ პროფესიული სტუდენტების შეფასების უწყისები მიღება - ჩაბარების აქტის საფუძველზე ჩაბარდება არქივს.

მუხლი 29. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასებისა და ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასებისა და ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული - სამართლებრივი აქტით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 19 ივლისის №48/ნ ბრძანების შესაბამისად.

მუხლი 30. შუალედური შეფასება

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია შუალედური შეფასების ჩატარება;
2. შუალედური შეფასება ტარდება პროგრამის შუა პერიოდში და შეფასების პერიოდი განსაზღვრულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით;
3. შუალედური შეფასების ჩატარების წესი და პროცედურა მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული - სამართლებრივი აქტით, ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 09 აგვისტოს №416 დადგენილების შესაბამისად.

მუხლი 31. კვალიფიკაციის მინიჭება

1. პროფესიული სტუდენტისათვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველს წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდულის კრედიტების ათვისება, შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.
2. საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების წესი და პროცედურა მტკიცდება კოლეჯის დირექტორის მიერ საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის მინისტრის მიერ დამტკიცებული ზოგადი წესის მოთხოვნების გათვალისწინებით (მინისტრის ბრძანების გამოცემამდე კოლეჯი უზრუნველყოფს საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარებას კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად).

მუხლი 32. კურსდამთავრებულის სტატუსი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა

1. საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/ უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შედეგად პირს ენიჭება შესაბამისად ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3/მე-4 /მე-5 დონის კვალიფიკაცია, რაც დასტურდება შესაბამისი დიპლომისა და დიპლომის დანართის გაცემით;
2. დიპლომი, რომელიც გაცემულია იმ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შედეგად, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, გათანაბრებულია სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან;

3. პროფესიული მომზადების პროგრამით ან პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება სერტიფიკატითა და დანართით;
4. სსსმ სტატუსის მქონე პირი, რომელმაც ვერ აითვისა პროგრამით გათვალისწინებული მოდულების კრედიტები, ითვლება კურსდამთავრებულად და მასზე გაიცემა ცნობა, პროგრამის გავლის შესახებ, მოთხოვნის შემთხვევაში, მიღწეული სწავლის შედეგების მითითებით.
5. პირი, რომელმაც აითვისა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოდულების კრედიტები და ვერ ჩააბარა საკვალიფიკაციო გამოცდა ან არ გამოცხადდა საკვალიფიკაციო გამოცდაზე, ითვლება კურსდამთავრებულად კვალიფიკაციის გარეშე და ეძლევა ორი წლის პერიოდში განმეორებით საკვალიფიკაციო გამოცდაზე გასვლის უფლება.
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა, მოთხოვნის შემთხვევაში, დასტურდება სერტიფიკატითა და დანართით;
7. მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების სრულად დაუდასტურებლობის შემთხვევაში კოლეჯი, მოთხოვნის შემთხვევაში, გასცემს ცნობას აღნიშნული მოდულის ფარგლებში დადასტურებული სწავლის შედეგების შესახებ;
8. ტრენინგ - კურსის (მოკლევადიანი პროგრამის) კურსდამთავრებულზე გაიცემა შიდა სერტიფიკატი, რომლის ნიმუში მტკიცდება კოლეჯის დირექტორის შესაბამისი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.
9. განათლების დამადასტურებელ დოკუმენტების (დიპლომი (დანართით); სერტიფიკატი (დანართით); არაფორმალური განათლების სერტიფიკატი) გაცემაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს რეესტრის წარმოების სპეციალისტი.

მუხლი 33. გარდამავალი დებულებები

მუხლი 33. გარდამავალი დებულებები

2025 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით:

ა) შერჩევა შესაძლებელია განხორციელდეს ასევე ეროვნული უმცირესობის ენაზე (რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენებზე). დაწესებულება ვალდებულია ამ გზით ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამაზე სწავლება დაიწყოს ქართული ენის მოდულით. ქართული ენის მოდულის დაუძლევლობის შემთხვევაში, პირს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი. ქართული ენის მოდულის დაძლევის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი სარგებლობს გარდამავალი (მომლოდინე) პროფესიული სტუდენტის სტატუსით და უფლებამოსილია:

ა.ა) სწავლა განაგრძოს იმავე პროგრამაზე, რომელზეც განხორციელდა მისი ჩარიცხვა. ამ შემთხვევაში მას პროფესიული სტუდენტის სტატუსი გაუაქტიურდება პირადი განცხადების საფუძველზე, შემდგომი მიღების ფარგლებში ამ პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის დაწყებისთანავე;

ა.ბ) ამ პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში ან პროფესიული სტუდენტის პირადი განცხადების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის მობილობის წესის“ შესაბამისად, ისარგებლოს შიდა ან გარე მობილობით;

ა.გ) შეინარჩუნოს მის მიერ მოპოვებული სამართლებრივი მდგომარეობა.

ბ) დაწესებულება უფლებამოსილია ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტს პროგრამაზე სწავლა დააწყებინოს ქართული ენის მოდულის გავლის გარეშე, იმ შემთხვევაში, თუ პროგრამით (რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება) გათვალისწინებული მოდულით/მოდულებით დადგენილი ენობრივი კომპეტენცია დადასტურდება მის მიერ, დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული შეფასების მექანიზმებით."

2. ბრძანების შესაბამის პირთათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოფს საქმისმწარმოებელმა;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში(მის:ს.ზუბალაშვილის ქ, N 30);

4.ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.